



საქართველო
თბილისი

XI.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

XI.

№ 13

კვირა, 23 მარტი 1903 წლისა.

№ 13

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნსკუვანი წლით 3 მ. 50 კან. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნსკუვანი წლით 4 მან., სპი თვით 2 მან., თითო ნაშუარი—15 კან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სპი-რის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

თფილის ადრესი: Тифлисъ. Редакция «КВАЛИ».

შინაჯარსი: მოკვრების გამოცხადება.—ეკონომიური განკით. მე-XIX საუკუნეში.—შინაური მიძინადა.—სწავლასა აზრებში.—კორუპციონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—შეკრდენის სიმღერა, მ. გორკისა, თარგმ. კ. ვ.—ქსი.—ნაწივეტა, ლექსი კ. რუხაძისა.—ამონაგენესი, ლექსი დარია ხუნდაძისა.—აზრი, მოთხ. ლ. ანდრეკვისა.—№-ს, ლექსი დ. თომასიძისა.—ეურნაღ-გაზეთებიდან.—წერილები რედ. მიმართ.—განცხ.

ოფიციალური გამოსცხადება

აჭუყლობათა შესახებ

ბათუმში.

გაზეთ „კავკას.“-ში დაბეჭდილია: ქალაქ ბათუმში, 9 მარტს, დილით, დიდძალმა მუშებმა თავი მოიყარა. სადგურზე იმ დროს, როდესაც მატარებელი უნდა წასულიყო. მუშებმა შეიკრიბნენ იმ ვეჭილებს გასაცილებლათ, რომელნიც სამართალში მიცემულ მუშებს იცავდნენ. როდესაც მატარებელი დაიძრა, ხალხმა ააფრიალა წითელი დროშა და „ურა“-ს ძახილით ლიანდაგს აქეთ-იქიდან მატარებელს გაყვა.

რაიმე უბედურების თავიდან ასაცილებლათ, მემანქანემ მატარებელი გააჩერა, რომელიც რამდენისამე წუთის შემდეგ ხელ-ახლა დაიძრა, როდესაც ხალხმა ლიანდაგი დასცალა.

სადგურიდან ხალხი მარიინის პროსპექტით გაემართა. გზაზე მუშებმა კიდევ ააფრიალეს რამდენიმე დროშა, რომელზედაც მთავრობის საწინააღმდეგო წარწერები იყო. პროსპექტზე რამდენჯერმე კიდევ გაისროლეს რევოლვერები, მაგრამ ვნება არავისთვის მიუყენებიათ, მხოლოდ ჩამტვრიეს ფანჯრები „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის რედაქციისა და ბ-ნ ერნისა და ამერიკის ელჩის სადგომებში.

ამის შემდეგ, როდესაც დაინახეს სამხედრო რაზმის მოახლოება, ხალხი დაიშალა.

ბ ა მ უ ი.

ქალაქ ბაქოში, 2 მარტს, დიღის თორმეტ საათზე, მარიინის ბაღის მახლობლათ დაიწყო თავის მოყრა ხალხმა, რომელიც ყვირილით პარაპეტისაკენ გაემართა, თან გზაში მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის პროკლამაციებს ყრიდნენ; ასეთსავე პროკლამაციებს ზოგიერთ სახლების ფანჯრებიდანაც ისროდნენ. პოლიციამ ყაზახთა დახმარებით ხალხის ნაწილი გაფანტა, მეორე ნაწილი მარიინის ბაღამდე მივიდა და შეუერთდა იქ უკვე თავ-მოყრილ მანიფესტანტებს. აქ ხალხი ყვიროდა და პროკლამაციებს აბნევდა, ამასთან ქვებით იშორებდა პოლიციასა და ყაზახებს, რომელნიც შეკრებილთა

გაფანტვას ცდილობდნენ, ბოლოს ხალხი მარიინის ქუჩით, პეტროვის მოედნისაკენ გაემართა. მარიინის პროსპექტზე მუშებმა კიდევ ააფრიალეს წითელი დროშა.

მეორე ჯგუფი კრასნოვოდსკისა და მერკურიევის ქუჩების კუთხიდან სალდათის ბაზრისაკენ გაემართა. მაგრამ იქვე მყოფ რაზმის უფროსის მიერ მალევე ზომებით გაფანტეს, ამასთან რამდენიმე კაცი საზღვაო სასწავლებლის ეზოში შეაგდეს, სადაც დაპატარავეს კიდევ. ხალხისაგან გასროლილ ქვით ერთი ყაზახი თავში დაიჭრა.

რადგან ბაქოს გუბერნატორი ქალაქში არ იყო, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი, ვიცე-გუბერნატორი დ. ს. ს. ლილევი ხალხისაკენ გაემართა, ბარიათინსკის ქუჩაზე შეხვდა იმის ნაწილს და წინადადება მისცა დაშლილიყო, რაც ხალხმა შეასრულა კიდევ. ამ დროს მარიინის ქუჩაში გამოჩნდა მეორე ჯგუფი. ვიცე-გუბერნატორი ამ ჯგუფისკენ გაემურა, მაგრამ ამ დროს პეტროვის მოედნიდან მოესმა ორჯერ გასროლილ რევოლვერის ხმა; გუბერნატორის თანამდებობის აღმ. გადმოვიდა ეტლიდან, გაემართა დასახლებულ მოედნისაკენ და რჩევა დაუწყო ხალხს—უწესოება მოესპო. ამ დროს დ. ს. ს. ლილევი მსუბუქათ დასჭრეს თავსა და ხელში. როდესაც მახლობელ კერძო სახლში ექიმებმა ქრილობა შეუხვიეს, დ. ს. ს. ლილევი ხელ-ახლა შეუდგა ქალაქში სიარულს და განკარგულების მოხდენას უწესოებათა მოსასპობათ.

ნაშუადღევს ორ საათზე ყველაფერი დაწყნარდა.

იმავე დღეს, ნაშუადღევს მეხუთე საათზე, ბალახანაში ბლომით ხალხი, დაახლოებით 2,000 კაცამდი შეიკრიბა ვოლჩინის პრომისლებზე და დაიწყო ყვირილი და ხმაურობა, მაგრამ მოსულმა პოლიციემისტერმა ურჩია შეკრებილთ დაშლა და შემვიდნენ საათზე ხალხი დაიშალა.

უწესოების დროს ბაქოში შეიპყრეს 21 კაცი; ამათგან 18 კაცი გუბერნატორის თანამ. აღმ., სახელმწიფო წესიერების დაცვის დებულების თანახმით, დაპატიმრა ბაქოს საპროკურობილეში, ხოლო სამი—ორი რეალურ სასწავლებლისა და ერთი

თი მიზეზილას საქალაქო სასწავლებლას მოსწავლე, სამოსწავლო უწყებას.

სია იმ პირთა, რომელნიც კავკასიის მთავარ-მართველის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, ბაქოს გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ, თანახმათ წესიერების გაძლიერებულ დაცვის მე-15 მუხლისა:

სამი თვით: 1) ქ. შუშის მცხოვრები, ბაგრატ გალუსტისძე ავაქიანცი, 2) ქ. ასტრახანის მოქალაქე, ვასილ დიმიტრისძე დრობიშვი; 3) ქ. შემახის მცხოვრები, არტემ ბახიშასძე დადავი; 4) სპარსეთის ქვეშევრდომი, ქ. თავრიზის მცხოვრები, ავეტის კაპრიელისძე კაპრიელოვი; 5) გეოქჩაის მაზრის სოფ. შტალის მცხოვრები, ბაგრამ ბახიშასძე ბაგრიანცი; 6) ტვერის გუბერნიის, ნოვოტორჟსკის მაზრის, ქ. ტორჟსკის მცხოვრები, ილია ექვთიმესძე ნოვოსელცოვი; 7) ტამბოვის გუბ., ელატამის მაზრის, სოფ. პენკის მცხოვრები, სტეფანე დენისისძე სიდოროვი; 8) კოლყე. ასსესიორის შვილი ნერსეს ნიკიტისძე ნავასარდიანი.

ორი თვით: 9) ზანგეზურის მაზრის მცხოვრები სერგი ბაღდასარისძე ასრიევი; 10) ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები, ალექსანდრე სარდარისძე აირაპეტიანცი; 11) ხერსონის გუბ. მცხოვრები მოსე მაქსიმესძე მაღჩენკო; 12) მოგილევის გუბ. მცხოვრები, შაველ შაიფ კუნიკ; 13) ვიტებსკის გუბ. მცხოვრები, ხაიმ მორდკოვისძე კოვანი; 14) ქ. ალექსანდროპოლის მცხოვრები, ილია სიმონისძე ფატიევი.

ერთი თვით: 15) ახალქალაქის მცხოვრები ოპანეზ მიკირტისძე ჩარუხოვი; 16) სპარსეთის ქვეშევრდომი, ათანას კარაპეტისძე მიკირტინიანცი; 17) შუშის მცხოვრები, არმენაკ არკადისძე ტერ-სარქისოვი; 18) ზანგეზურის მაზრის სოფ. გერუსის მცხოვრები დავით არაქელასძე ხურშუდიანიცი.

**მკონომიური განვითარება
მე-XIX საუკუნეში.**

საქონელს აქვს ღირებულება იმიტომ, რომ ის შრომის ნაყოფია, რომ მასზე სამუშაო ძალა დახარჯული. ორი საქონელი ერთი მეორეზე იცვლება, როგორც განხორციელება ამ სამუშაო ძალისა. ეს სამუშაო ძალა ყველა საქონელში ის საერთო რამეა, რომლის გაზომვა და ერთმეორესთან შედარება შესაძლებელია. ორი საქონლის ერთმანეთთან შედარება არის მათში განხორციელებულ სამუშაო ძალის რაოდენობის შედარება. აქ ჩვენ შრომას ვუპირდაპირებთ შრომას. თვითვეულ ნივთის, საქონლის გაკეთებაზე დახარჯულ ძალის რაოდენობა არის საფუძველი გასაცვლელი ღირებულებისა. მაშასადამე, საქონელი შრომის საზომის გათვალისწინება.

სამუშაო ძალა, შრომა გაიზომება იმ დროის რაოდენობით, რომელიც მოანდომა ადამიანმა რაიმე ნივთის გაკეთებას, (მაგ., ასი არშინი მაუდის ქსოვას ფეიქარმა ორი, სამი დღე ან მეტი დრო მოანდომა); მაგრამ თუ თითოეული საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასზე დახარჯულ სამუშაო ძალის რაოდენობით და თუ მეორე მხრით თითოეულ საქონელზე დახარჯული სამუშაო ძალა გაიზომება იმ დროს რაოდენობით, რომელიც მოანდომა მის დამზადებას ამა თუ იმ ზიანს, მაშინ საქონელს იმდენათვე მეტი ღირებულება უნდა ქონდეს, რამდენათაც მისი გამკეთებელი უფრო ზარმაცია და არადახელოვნებული; ზარმაცი და არადახელოვნებული ადამიანი რომელიმე ნივთის გაკეთებას მეტ დროს მოანდომებს, ვინემ დახელოვნებული და მარჯვე მშრომელი და, მაშასადამე, არადახელოვნებულ პირის გაკეთებულ ნივთს მეტი ფასი უნდა ქონ-

* იხ. „კვლევი“ № 12.

გადაცადეს, ვანე დახელ უკნებულისას. ნამდვილი კარგად დასაქონლის გასაცვლელ ღირებულების საზომით არ შეიძლება მივიღოთ ამა თუ იმ ზიანს მიერ დახარჯული სამუშაო ძალა, ან დრო.

ნივლიერთევა

მაშ რანაირ სამუშაო ძალას ვადარებთ ჩვენ ერთმანეთს, როდესაც ორ ღირებულებას ერთი-მეორეს ვუპირდაპირებთ? ჩვენ ვადარებთ თანასწორ სამუშაო ძალას. საზოგადოების შეერთებული სამუშაო ძალა გამოიხატება საქონელთა ღირებულებებში. თითოეულ საქონელში არის განხორციელებული განსაზღვრული ნაწილი ამ საზოგადო სამუშაო ძალისა. ორი ერთნაირი საქონელი საზოგადოებისთვის გამოიხატელობა ორი თანასწორი სამუშაო ძალისა. ორი ოც-ოც არშინიანი ნაქერი ერთნაირ ღირსების მაუდისა, თანასწორ შრომას წარმოადგენს; თუმცა ადვილად შეიძლება, რომ ერთ ნაქერზე მეტი შრომა და დრო იყოს მონდომებული, ვინემ მეორეზე. საზოგადო საზომით ის დრო ითვლება, რომელიც საშუალო სიმარჯვის და სიბეჯითის მქონე ადამიანისათვის საჭიროა ჩვეულებრივ პირობებში რომელიმე საქონლის დასამზადებლათ. ამგვარ პირობებში საქონლის დასამზადებლათ საჭირო დროს ჰქვია—საზოგადო საჭირო სამუშაო დრო, რომელიც განსაზღვრავს საქონლის გასაცვლელ ღირებულებას. ავიღოთ მაგალითი: დღეს საფეიქრო მაშინა ქსოვს, ვთქვათ, ათჯერ უფრო ჩქარა, ვინემ გასულ საუკუნოებში უბრალო ფეიქარი თავის დაზგაზე, ე. ი. საფეიქრო მაშინის საშუალებით ერთ დღეში კეთდება იმდენი, რამდენიც უმაშინოთ ათ დღეში. მაშასადამე მაშინით ერთ დღეში ერთი ფეიქარი ათჯერ მეტს მოქსოვს, ვინემ მეორე, რომელსაც არ აქვს საფეიქრო მაშინა; პირველი, ცხადია, ათჯერ მეტ ღირებულებას შექმნის, ვინემ მეორე, თუმცა ორივე მუშაობდა თითო დღე და თანასწორი სიბეჯითით. პირველის შრომა თუ გამოიხატება 100 არშინ მაუდში, მეორეს შრომა გამოიხატება 10 არშინში. თუ საფეიქრო მაშინის შემოღებამდი დაზგაზე მომუშავე ფეიქარი ერთი დღის ნაშრომში—10 არშინ მაუდში—იღებდა 10 მანეთს, ახლა ის იმდენსავე (ესე იგი ერთ დღეში=10 არშინ მაუდში) ნაშრომში აიღებს მხოლოდ ერთ მანეთს. ათ მანეთს კი აიღებს ის, ვინც საფეიქრო მაშინით დღეში ათის მაგივრათ ას არშინს ქსოვს. რას ნიშნავს ეს? აი რას. წარმოვიდგინოთ, რომ ორივე ფეიქარი დღეში ათ საათს მუშაობს. მაშინით მომუშავე ფეიქარი ერთ საათში ამაზადებს იმდენს, რამდენსაც უბრალო ფეიქარი ათ საათში; მაშასადამე პირველის ერთი საათის მუშაობა ეთანასწორება მეორის ათი საათის მუშაობას, ე. ი. პირველი ერთ საათში ქმნის იმდენ ღირებულებას, რამდენსაც მეორე ათი საათის განმავლობაში. ამ ორიდან რომელი ფეიქრის სამუშაო დრო უნდა ჩითვალოს საზოგადო საჭირო სამუშაო დრო? რასაკვირველია, ის დრო, რომელსაც მაშინით მომუშავე ანდომებს საქონლის დამზადებას. რატომ? იმიტომ, რომ საზოგადო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლია გაუმჯობესებულ მაშინით დამზადებულ საქონელს და დაზგაზე მომუშავე იძულებულია მისი ათი საათის ნაშრომი იმ ფასში გაყიდოს, რა ფასშიაც იყიდება საფეიქრო მაშინით ერთ საათში მოქსოვილი მაუდი. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ თანამედროვე პირობებში (მაშინების შემწეობით) ათი არშინი მაუდის მოსაქსოვათ საჭიროა მხოლოდ ერთი საათის მუშაობა, ამიტომ ერთი საათი შეადგენს საზოგადოთ საჭირო საშუალო სამუშაო დროს და აი ამ სამუშაო დროს რაოდენობით განისაზღვრება ათი არშ. მაუდის გასაცვლელი ღირებულება.

ყოველგვარი საქონელი, როგორც ვიცით, არის განხორციელება მასზე დახარჯულ სამუშაო ძალის, რომელსაც

საზომათ აქვს ზემოთ ახსნილი სამუშაო დროს რაოდენობა. მაშასადამე ერთი ნივთის (შაქრის, მაუდას, რკინის) გასაცვლელი ღირებულება მეორე ნივთის (სპილენძის, მელანის, ქალღის) გასაცვლელ ღირებულებას ეთანასწორება ყოველთვის, როდესაც თითოეული მათგანი თანასწორია, საზოგადოთ საქარო საშუალო სამუშაო ძალის წარმოადგენელია. მაგ., როდესაც აპობენ: ასი ფუთა შაქარა = უთას არშინ მაუდას = 50 ფუთ სპილენძს უდრის, ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანის გასაცვლელი ღირებულება ერთმეორეს ეთანასწორება, ე. ი. თითოეული მათგანი თანასწორ საზოგადოთ საქარო საშუალო სამუშაო დროს განმავლობაში დამზადებული.

ერთ საქონელს მეორეზე იმდენათ მეტა ან ნაკლები ღირებულება აქვს, რამდენათ პირველის დამზადებას მეტი ან ნაკლები დრო სჭირდება, ვინემ მეორის.

რომელიმე საქონლის ღირებულება მუდამ ერთი და იგივე იქნება, რომ მისი დასამზადებლათ საქარო დროს რაოდენობა არ იცვლებოდეს. მაგრამ სამუშაო იარაღები უმჯობესდება, ყოველგვარი ცოდნა ვრცელდება, შრომის განაწილება ვითარდება და ამ მიზეზების გამო ერთი და იგივე საქონლის მოსამზადებლათ საქარო სამუშაო დროს რაოდენობაც მუდამ იცვლება, კლებულობს. თანამედროვე პირობებში შრომა უფრო ნაყოფიერია, ვინემ ადრე იყო საქარო სამუშაო დროს შემოკლებას შედეგათ მოყოლა გასაცვლელი ღირებულების დაკლება; ნაკლები საზოგადოთ საქარო სამუშაო დრო გამოიხატება დაკლებულ გასაცვლელ ღირებულებაში.

„საერთოთ, რამდენათ უფრო ნაყოფიერია (производительность) შრომა, იმდენათ ნაკლები სამუშაო დროა საქარო ამა თუ იმ ნივთის შესაქმნელათ, იმდენათ ნაკლები სამუშაო ძალა ხორციელდება საქარელში და იმდენათ ნაკლებია ამ საქონლის ღირებულება. პირიქით, რამდენათ ნაკლებ ნაყოფიერია შრომა, იმდენათ მეტი სამუშაო დრო იხარჯება ამა თუ იმ ნივთის შექმნაში და იმდენათ მეტია მისი ღირებულება“.

«ამნაირათ საქონლის ღირებულების სიდადეს პირდაპირი პროპორციონალური დამოკიდებულება აქვს ამ საქონელში განხორციელებულ სამუშაო ძალის რაოდენობასთან და უკუღმა პროპორციონალური (обратно-пропорциональное) შრომის ნაყოფიერების ძლიერებასთან“ ე. ი. ღირებულება მატულობს, როდესაც საქარელზე მეტა სამუშაო ძალა იხარჯება; ღირებულება კლებულობს, როდესაც საქარელზე ნაკლები ძალა იხარჯება“.

„ახლა ჩვენ ვიცით, რა არის საქონლის არსება (сущность): ეს შრომაა; ჩვენ ვიცით აგრეთვე, რით განისაზღვრება საქონლის ღირებულება: ეს სამუშაო დროს რაოდენობაა“.

შინაური მიმოხილვა.

თითქმის ვერც ერთ გაზეთს ისე ვერ წაიკითხავ, რომ შიგნით არ ნახო რომელიმე ისეთი დაწესებულების მოქმედება, რომელსაც საფუძვლათ თვითმართველობის პრინციპი უდევს (ქალაქის მართველობა, ერობა და სხ.). არც ერთ სხვაგვარ დაწესებულებას იმდენი მათრახი არ ხვდება ჟურნალ-გაზეთებისაგან, რამდენიც თვითმართველობის საფუძველზე დამყარებულ დაწესებულებას; ასე რომ საქმის გაუცნობელობა მკითხველმა ნება-უნებურათ უნდა დაასკვნას: ამა და ამ დაწესებულების უფარვისობის მიზეზი ის არის, რომ მას

თვითმართველობის პრინციპი უდევს საფუძვლათ. ნამდვილათ კი საქმე სულ სხვანაირათაა. სახელდობრ საქმე იმაშია, რომ ერთი მხრით თვითმართველობის პრინციპი მეტათ შეზღუდულია; ამის გამო ამ დაწესებულებათ ვეღარ მოუხერხებიათ თავიანთ მოქმედებას თავისუფლათ გააშლიყვნონ ფრთები და შესაფერი ნაყოფი გამოაღებინონ, ხოლო ხშირათ კი უკუღმართ გზასაც ადგებიან და მათი მოქმედება მართლაც და მეტათ გასაკიცხი ხდება. მეორე მხრით კი იგივე კანონი ჟურნალ-გაზეთობას სრულ ნებას აძლევს კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს სხენებულ დაწესებულებათა მოქმედება და რამდენიც უნდა, იმდენი აძაგოს. ამნაირათ თვითმართველობის პრინციპი დღეს ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი: მას, ხელფეხ-შეზოქილს, საშუალება არ აქვს საზოგადოებას შესაფერი სარგებლობა მოუტანოს და, აძაგებენ რა ამის გამო ვითომ მის საფუძველზე დამყარებულ დაწესებულებათა მოქმედებას, გულუბრყვი-მკითხველს თვით ეს ზრანცხა ისეთ უფარვის, თითქმის მავნებელ რამეთ ეჩვენება, რის თავიდან მოშორება თითქოსასურველია.

* * *

1892 წლის საქალაქო დებულების ძალით ქალაქის საბჭოს ხმოსნებათ შეუქალათ გახდენ იმათ, ვისაც განსაზღვრული ქონებრივი ცენზი აქვს. ასეთ ბედნიერთა რიცხვი კი მეტათ მცირეა და ამის გამო ქალაქის მზრუნველ-პატრონათ დღეს გამხდარა ქალაქის მცხოვრებთა შეძლებული უმცირესობა, რომელსაც ძალიან ნაკლებათ ან სულაც არ აინტერესებს შეუძლებელ უპრავლესობის საქარობათა დაკმაყოფილება და რომელიც ამასთან ნამდვილი საქმიანობის ნაცვლათ ჩხირკედელაობას უნდება ან უთავბალოა, უნაყოფო და ხშირათ კი ქალაქისათვის პირდაპირ საზარალო მოქმედებას ეწევა. ხშირათ, ბევრი საქმიანობით რომ თავი არ შეიწყუხონ, ქალაქის ასეთა მდიდარი ჭირისუფლები ქალაქისათვის ფრიად საქარო საქმეთა შესრულებას ისეთ გარეშე პირებს ანდობენ ხოლმე, როველნიც ასეთ საქმეებს მხოლოთ თავიანთი ჯიბის გასასქელებლათ კისრულობენ და ქალაქის ინტერესებთ კი ფეხზე კიდათ. ერთ ამის მაგალითს წარმოგიდგენს ქუთაისის საბჭო. ვისაც ამ ქალაქში ცოტა ხანს მაინც უცხოვრია, უთუთ დაგვეთანხმება, რომ აქ არსებით საქარობას შეადგენს წყლის მილის გამართვა, რომელიც, გარდა იმისა, რომ მცხოვრებთ რიგან სასმელ წყალს მიწოდებდა, ამასთან მშრალ აშინდში ქუჩებში გავლას გაუადვილებდა, რადგან შესაძლოთ გახდებდა ქუჩების მორწყვას და მით იმ საშინელ მტერის კორიანტელის მოსობას, რომელიც დღეს ყოველთვის მშრალ აშინდში სულს უხუთავს და ახრჩობს ყოველ გამვლელს. აი ასეთი საქარო საქმე — წყლის მილების გამართვა — ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ, თვითონ რომ დაიზარა, კერძო ამხანაგობას გადასცა შესასრულებლათ ხელშეკრულებით და მერე როგორი ხელშეკრულებით? ამხანაგობა, ამ ხელშეკრულობის ძალით, ერთი მხრით ვალდებულია ფაქტის განმავლობაში გააკეთოს წყლის მილები, ხოლო მეორე მხრით კი ამავე ხელშეკრულებაში არის თურმე ისეთი მუხლები, რომლებიც ძალითაც ამხანაგობას შეუძლია მთელი ათი წელიწადი მოანდომოს მილების გაკეთებას; კიდევ ამიტომ ამხანაგობა ასე დინჯათ ეკიდება ამ საქმის შესრულებას: მან უკვე მიფობ-მოფობა რაღაც ქვითკირი ვითომ აუზისათვის და მიადგო ქვა, მიანება თავი, თითქო სულაც მიავიწყდა საქმეო. ან კი რა ეჩქარება? ათ წლამდე წყლის მილებს კი არა, ბაბილონის გოდოლს ააშენებს კაცი! აი ასეთი, ძურიდიული მხრით, ბრყვიული ხელშეკრულება დაუდვა

ამხანაგობას ქუთაისის ქალაქის საბჭომ, იმ საბჭომ, რომელშიაც ხმოსნებათ გამოცდილი და „ბრძენი“ იურისტები ირიცხებოდნენ! აი ასე გულმსუბუქათ ჩაუგდო მან ხელში მთელი ქალაქის ინტერესები ათი წლის განმავლობაში ფეხებ-ქვეშ სათელათ იმ ამხანაგობას, რომელსაც სათავეში ცნობილი ინჟ. მიხაილოვი და ზდანოვიჩი (იგივე ქალაქის ხმოსანი!)— უღვანან! აი სანამდის მიდის დაუდევრობა ქუთაისის ქალაქის „მამებისა“!

დაუდევრობისა და ჩხირკვედლობის მხრივ ქუთაისის ქალაქის მამებს არც თფილისის ქალაქის ჭირისუფლები დაუდებენ ცალს. ესენი ნამდვილ საქმიანობას ყოველთვის უბრალო ლაზღანდარობას, წყლის ნაყვას, ერთმანეთის კბენას და იმის შესახებ უაზრო კამათს ამჯობინებენ: დამტკიცებულ იქნეს თუ არა ამა თუ იმ სხდომის პროტოკოლი, ან კიდევ: უნდა „დაუბრუნდეს“, თუ უნდა „მიენდოს“ ქალაქის გამგეობას ამა თუ იმ საქმის განხილვა, როგორც მაგალითათ პროფესიონალურ სინგლოსნოს დირექტრის ქ-ნ ბუდრინის საქმეა, რომელიც აცხადებს: თანამდებობიდან დამითხოვეს სრულიათ უმიზეზოთ, ჩირქი მოცხეს ჩემ კეთილ სახელს და 14 წლის ნამსახურს ერთი გროშიც არ მომიგდეს შემწეობათო. — კიდევ უფრო საინტერესო კომედიას თუ ფარსს ქალაქის „მამებს“ და ბ. რობის შუა ამტყდარი კინკლაობა წარმოადგენს. ეს რამდენიმე წელიწადია ყურები გვაქვს გამოქედელი წარამარა იმის ჩიხინით: ფუნეკულერი, ფუნეკულერი უნდა იქნეს მთაწმინდაზე აყვანილიო, და ბოლოს და ბოლოს ყოველთვის მხოლოდ ისევე ბალღური კინკლაობა გვჩეხა ხელში ფუნეკულერის მაგიერათ. ამ გარემოებას ჩვენ, რასაკვირელია მხოლოდ ერთ-ერთ კურონათ ლ ქალაქის ჭირისუფალთა „საქმიანობის“ დასახასიათებლათ აღვნიშნავთ, თორემ ჩვენთვის ისეთი „როსკოშის“ შეფერხება, როგორც ფუნეკულერია, დიდათ სამწუხარო არ არის იმ დროს, როდესაც არა თუ შეფერხებული, ერთ წერტილზე გაყინულია მრავალი უსაჭიროესი საქმე, მაგალ. ქალაქის განაპირა ადგილებში, ე. ი. ღარიბთა უბნებში, ქუჩების მოკირწყვლა-დასუფთავება, განათება და სხ... მაგრამ დაღვინებულ სოლოლაკელ „მამებს“ თავიანთი სოლოლაკის ქუჩები ხომ გაკრიანებულ-გაჩირადლებული აქვთ და თუ მათი დაბეჩავებული ნაძალადეველი ან დიდებელი „შვილები“ ბნელ ტალახიან ქუჩებში კისერს იმტერევენ, რა ენაღვლებათ?!

ღარიბ მცხოვრებთათვის თბილისის ჭირისუფლებზე არა ნაკლებ ყბათ-აღებულ და „წყალ-წალებულ“ გორის ჭირისუფლებს შეტკივათ გული-მოგეხსენებათ, ეს ქალაქი ძალიან ნაკლებათ ემორჩილება წინსვლელობის კანონებს და ხან-კი პირიქით უკან-უკანაც კი მიჩოჩავს ხოლმე კიბოსავით; ამასთან საკმარისია სულ მცირეოდენი მიზეზი, რომ მთელი იმ ქალაქის ცხოვრება განსაცდელში ჩაეარდეს და შეფერხდეს რამდენიმე ანბიჯით მაინც უკან დაიწიოს. ერთ ამის მაგალითს წარმოგვიდგენს შემდეგი შემთხვევა. საკმარისი იყო გორში ჯარი-სათვის კაზარმები აეშენებიათ და ამის გამო სახლების ქირამ ისე დაიწია, რომ სახლის პატრონებმა ქალაქის სასარგებლოთ გადასახადის შეტანაზე ხელი აიღეს; ამის მეოხებით მთელი ქალაქი საფრთხეში ჩაეარდნია და ქალაქის ჭირისუფლებს დაუყონებლივ სასტიკი ზომები მიუღიათ პოლიციის დახმარებით „ნედლიკების“ ამოსაგებათ. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ დაბალ ღობეს უფრო ადვილათ გადააბიჯებენ ხოლმე! გორის მამებსაც დაბალი ღობისთვის მიუგნიათ, და, შეძლებული სახლის პატრონები რომ აღარ შეუწყუხებიათ პოლიციით,

„საწყალ ხალხისთვის“ წაუვლიათ ყელში ხელი: გერაიოთარ მუდარას, ვერაიოთარ ცრემლებს მშვიერ-მწყურვალ ქვრივ-ობრე-ზისას ვერ მოულობია გულა მათი გულკეთილქმენს-სათვის და ამ უკანასკნელთ თითქმის კენტალ-მსხენს-გამონ-გრევაც კი დაუპირებიათ გასაყიდათ და მით ნედლიკის ამოსაგებათ.

ახლა გადავხედოთ ბათუმის ქალაქის მმართველთა საქმიანობასაც. აქ ეს ერთი ხანია მითქმა-მოთქმაა საზოგადოებაში იმ ათასგვარ უმზგავსოების შესახებ, რომელიც ამ ქალაქის სააკათმყოფოში სუფევს. (იხილეთ ქვემოთ კორესპონდენცია ბათუმიდან) დიხს, ჯერ საზოგადოებამ და არა ქალაქის მართველობამ მიაკცია ყურადღება იმ დაწესებულების სისადაგლეებს, რომელიც მას, ქალაქის მართველობას, ექვემდებარება. საჭირო იო ჯერ მთელი საზოგადოება ადელგებულიყო ამ სისადაგლეებისაგან, ალაპარაკებულიყო მათზე, შემდეგ კი თვით ამ სისადაგლეთა მსხვერპლს, ქ-ნს აფანასიევისას ადელმალღებია ხმა ქალაქის მამების წინაშე, რომ ამ უკანასკნელთაც ხმა ამოეღოთ ამ საგანზე. სხენებულ უმზგავსოებათა ჩამდენი არის თვით სააკათმყოფოს უფროსი ექიმი ფინკელშტეინი, რომელიც თურმე ზედიზედ 32 საათს ამუშავებს თავის ხელქვეით მოსამსახურებს: ფერშლებს, მოწყალეების დებს და სხ. და ამასთან, ექცევა რა მათ უდიერათ, ერთი კალმის მოსმით აგდებს სამსახურიდან, თავისი პირადი ნაწყენობის გამო. ასე მოქცევიან ის სხვათა შორის მოწყალეების დას, ქ-ნ აფანასიევისას, რომელიც მას, როგორც პირადი ნაცნობი, პეტერბურგიდან მოუწვევია ლ ორი-სამი თვის შემდეგ კი სამსახურიდან დაუთხოვია პირადი უკმაყოფილების გამო. აი ასეთ გულისამღვრევ ფაქტებზე მთელი ქვეყანა უნდა აყაყანებულიყო, რომ ბათუმის ქალაქის საბჭოც ალაპარაკებულიყო. ამასთან საყურადღებოა კიდევ ის არის, რომ მაშინ, როდესაც თითქმის ყველა ხმოსნები საჭიროთ ცნობდენ სააკათმყოფოში არსებულ ბოროტმოქმედებათა გამომედვანებას ლ მოსპობას, ამ დროს ცნობილი „მოღვაწე“ ბ-ნი გ. ვოლსკი კი, რომელსაც თავი ბათუმში პირველ მოწინავე კაცათ მოაქვს, თავგამოდებით იცავს აღნიშნულ უმზგავსოებათა ჩამდენ ფინკელშტეინს და ამტკიცებს, ქალაქის საბჭოს ნება არა აქვს თავის ხელქვეით მყოფ დაწესებულებათა მოწამლული ატმოსფერა გაწმინდოსო.

„კვალის“ წინა ნომრის „შინაურ მიმოხილვაში“ აღნიშნული იყო, რომ თავისუფალ პროფესიების წარმომადგენელთა შორის ზნეობრივი მხრით ყველაზე უფრო, ნამეტურ ჩვენში, ადვოკატურის წარმომადგენელი კოჭლობენ და რომ მათი ანგარების მოყვარება უკიდურეს წერტილამდე მიდის. თვითონ ჩვენებური ადვოკატები, რასაკვირელია, სულ სხვა აზრისანი არიან, მათ უსპეტაკესი ზნეობის პატრონებათ მოაქვთ თავი და ცნობილ ქუთაისელ ადვოკატს მ. ა. ქიქოძის ლ სხვათა პირით აცხადებენ: ჩვენებურ ადვოკატთა ზნეობა უმაღლეს ხარისხზე დგასო და არაფრის გულისთვის მუშტრების საშოვნელათ ხელს არ მიყოფენ ისეთ სამარცხვინო საშუალებას, როგორც აგენტების დაქირავებაო. ამის განცხადება ბ. ქიქოძეს შემდეგი შემთხვევის გამო დასჭირდა. 15 მარტს ქუთაისის ნაფიც-ვექილთა კომისიაში ვექ. ბ. დგებუაძემ რეფერატი წაიკითხა საადვოკატო აგენტურის შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენს დროში ადვოკატობამ მრეწველობის ხასიათი მიიღო: ადვოკატები ქირაობენ აგენტებს იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელებმა ყველგან და ყოველთვის აქონ-ადი-ღონ თავიანთი დამქირავებლები, აძაგო მათი კონკურენტები

და მით პირველებს კლდეები გაუმრავლონ; ეს აგენტები არ ერიდებიან არავითარ სათაკილო საშუალებას და არა თუ კონკურენტის პიროვნებას, არამედ მის ოჯახურ ცხოვრებასაც კი ტალახში სვრიან. რეფერენტმა სხვადასხვა საშუალება დაასახელა აგენტურის მოსასპობათ. ეჭვი არ არის, ბ-ნი დგებუაძე დარწმუნებულია, რომ საადვოკატო აგენტურას ქუთაისშიაც ფეხი აქვს მოდგმული, თიარემ წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ ამ საგანზე ქუთაისელ ადვოკატთა საყურადღებოთ რეფერატის წაკითხვა ქარის წისკვილთან ბრძოლა იქნებოდა. რაც შეეხება დანარჩენ ადვოკატებს, რომელთაც რეფერატი მოისმინეს, თუ ისინი მართლა ქირაობენ აგენტებს, მაშინ მათი ინტერესი სრულიათაა არ მოითხოვს, რომ მათ ქუთაისში ხსენებულ აგენტურის არსებობა აღიარონ, რადგან ყველა იმას ცდილობს, რომ დამალოს თავის მიერ ხმარებული სათაკილო ხრიკები, მაგრამ მათ მთლათ მაინც ვერ უარყვეს აგენტურის არსებობა ქუთაისში და აღიარეს, რომ ზოგიერთ ადვოკატებს კი ყავთ აგენტები ქუთაისშიაც. მიუხედავად ამისა, ბ. ქიქოძემ იდეალურ სიმაღლეზე დააყენა ქუთაისის ადვოკატების ზნეობა და ამით ახსნა საადვოკატო აგენტურის გაუფრცხვლებლობა ამ ქალაქში. თუ ასეთ აგენტურას ქუთაისში მართლა ნაკლებათ აქვს ადგილი, რაც ძალიან საეჭვოა, ეს უფრო იმით აიხსნება, რომ, როგორც ვექიძმა ს. დ. ჯაფარიძემაც აღნიშნა, ქუთაისი პატარა ქალაქია, ადვოკატები აქ ცოტანი არიან და მცხოვრებლები ყველა მათ ჩინებულათ იცნობენ, ასე რომ აგენტურა აქ იმდენათ საჭირო აღარ არის და ამიტომ აქაურ ადვოკატებისაგან თავიანთ მაღალ ზნეობაზე ლაპარაკი ცარიელი თავის ქებაა და სხვა არაფერი.

სხვადასხვა ამბები.

როგორც „ნოვ. ობოზრ.“ სწერენ, სამეგრელოში ხალხი დიდ გაქირვებაში ყოფილა. ეს სჩანს იქიდან, რომ კნ. მინგრელსკის მამულის კანტორაში ყოველ დღე აუარებელი შემწევობის თხოვნები მოდის თურმე. მთხოვნელთა უმრავლესობა დღიურ საზრდო ლუკმა პურსა თხოულობს.

შავი ზღვის ნაპირის რკინის გზა, როგორც დეპეშით იტყობინებიან პეტერბურგიდან, გაივლის ზუგდიდზე და ახალსენაკზე. ამ წაირათ აშორდება ფოთსაც და ქუთაისსაც, რომელნიც ძლიერ ცდილობდნენ ამ რკინის გზას ხსენებულ ქალაქებზე გაეყო.

ქუთაისის ნოქრებს განუზრახავთ ამ მოკლე ხანში გახსნან საკუთარი წიგნთ-საცავ-სამკითხველო და ამწაირათ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი დიდი ხნის სურვილი.

ოთხშაბათს, 19 მარტს, ალექსანდროვის შუა ბაღში აკურთხეს რუსის მწერლის ნ. ვ. გოგოლის ძეგლი.

როგორც „კავკ.“-ს იტყობინებენ, სახელმწიფო საბჭოს 13 მარტს საჭიროთ უცვნია ისევ დასტოვოს ამიერ-კავკასიაში საერობო საპოლიციო დარაჯები. ამის შესანახი ხარჯი ისევ საერო თანხიდან უნდა გადაიდოს; ხაზინა მხოლოდ იმდენ შემწევობას აღმოუჩენს, რამდენიც გადაწყვეტილ იქნება ამიერ-კავკასიის საერობო თანხის სავარაუდო აღრიცხვის განხილვის დროს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი, ინჟინერი ი. კ.

ივანოვსკი, პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვა დღეს, 23 მარტს.

ბათუმის ოლქის ზოგიერთ ადგილებში, მთავრობის შემდეგ, ადგილობრივ მემამულეებთან შორის დაგა ასტყდა ადგილ-მამულეების გამო. მთავრობამ ხაზინის საკუთრებათ იცნო მამულეები და გადასწყვიტა, რადგან მკვიდრნი დიდი ხანია ამ მამულეებში სცხოვრობენ, დაეთმოს მსურველთ სამუდამოთ ადგილ-მამული წელიწადში თითო დევეტინა 25 კაპეკათო. ამავე დადგენილების ძალით მცხოვრებთ შეუძლიათ სრულიათ გამოისყიდონ მამულეები. მთავრობის ეს გადაწყვეტილება ეხება ბათუმის ოლქის შემდეგ ადგილებს: მახინჯაურს, აჭკუას, ჩაქვას, ყარა-წერეს, ბარცხანას, სახაროს და ზელიონი მისს. ახლახანა ბათუმის ოლქის სხვა ადგილებშიაც ედავება, სახელდობრ: ანგისსა, ჩურუქსუს, სმეკალოვკას, სოუქ-სუს, ხოლოდნაია სლობოდკას, კაპრეშტმის, ორთაბათუმის, ახალშენის, ფერიეს, იჯიდიეს, სამებაურის, ურების, ხუცუ-ბანის და ჯაიარის. რადგანაც დავის მიზეზი აქა და ზემოხსენებულ ადგილებში ერთი და იგივეა, საინისტროს აზრათა აქვს შემოიღოს ამ ადგილებშიაც მამულის სარგებლობისა და გამოსყიდვის ის წესი, რაც ზემოხსენებულ მამულეებში შემოიღო.

თებერვლის განმავლობაში სხვადასხვა გადასახლება სენით ტფილისში ავით გამხდარა სულ 173 ადამიანი. აქედან საოფლეთი ავით ყ თილა 67, ყელქირვებით 28, ხურებით 32, წითელათი 8 და სხვ. გარდაცვლილა 13 კაცი. გადასახლება სენით ავითმყოფობა უფრო გაფრცხვლებული ყოფილა პოლიციის პირველ, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე ნაწილებში.

ტფილისის, ქუთაისის, ბათუმის და ბაქოს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა წევრთა კრება დანიშნულია 30 მარტს.

9 მარტს რკინის გზების მომხმარებელ საზოგადოების გამგეობამ თვის თანამდებობას თავი დაანება იმიტომ, რომ მისგან წარდგენილი წლიური გასავლის სმეტა საზოგადოების წარმომადგენელთა კრებამ არ დაამტკიცა და 13,000 მან. დაუკლო. ახლათ ამორჩეული გამგეობა უკვე შეუდგა თავის თანამდებობას, მაგრამ პირველ დღეებშივე დარწმუნდა, რომ ძველი გამგეობის სმეტა შესამოკლებელი არ ყოფილა.

კავკასიის მთავარმართებელმა დაამტკიცა თფილისის ქ. მოურავათ ახლათ არჩეული ნ. ვ. არლუთინსკი-დოლოგორუკოვი.

„ზნიტოს“ ქარხანას ბათუმში მოუწვევია მოსამსახურეთა სამკურნალოთ ექიმი ვოლსკი.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „იმერეთის მეფე სოლომონ მეორე“ ისტ. ამბ. თ. ხუსკივაძისა, გამოცემა გაჩეჩილაძისა. წიგნში 64 გვერდია და ღირს ერთ შაურათ.

ტფილისის პირველ თავშესაფარის გამგემ წარუდგინა ქალაქის გამგეობას დაწვრილებითი ანგარიში თავშესაფარის მცხოვრებლებისა. 1902 წ. სულ თავშესაფარით უსარგებლნიათ 34,688 კაცს, ამათგან 2515 ქალს. ეროვნებით ყოფილან: რუსი—14,434 კაცი და 1601 ქალი. სომეხი—13,070 კ. და 531 ქ., ქართველი—3,028 კ. და 234 ქალი. დანარჩე-

ნი სპარსელები, ნემცები, ბოლონელები და სხვ. თავშესაფარის მცხოვრებთა რიცხვი ყველაზე მეტი იყო დეკემბერში, იანვარში და თებერვალში. ხელობით მცხოვრები განიყოფებიან: დღიური მუშები 23,441 კ., მზარეულები 1,198 კ., მქედლები და სლესრები 930 კ., შრომისთვის უვარგისნი 3,738 კ., ამათგან ქალი 1,468. ინტელიგენტებიდან ყოფილან მასწავლებ. 18 კაც., ფერწელები 132, მწერლები 717, ზღვაოსნები 85, ნოქრები 130, მემუსიკენი და ზომღერლები 34 და სტუდენტი 8.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება საბჭოს დაუნდინია 28 მარტისათვის.

როგორც „ნ. ო.“-ს შეუტყვიან, უმაღლეს მთავრობას დიდი ცვლილებების მოხდენა განუზრახავს სოფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებებში. ფიქრობენ, ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობა დამოუკიდებელ უწყებათ გადააკეთონ. ამასთან აზრათა აქვთ გააუმჯობესონ მოსამსახურეთა მდგომარეობაც.

ბ. მ. ჯანოევი (ნენო), რომელიც ჩვენს ავთომყოფ მსახიობს ვლ. ალექსი-მესხიშვილს ეგნაში წაყვანა, სადაც ავთომყოფი საეჭიროთ წაყვანა, წერს „ცნ. ფ.“-ს, რომ პროფესორის ხიარის სიტყვით, ექიმობა კარგა ხანს გასტანს, — არა ნაკლებ ორი თვისა, რადგან ჯერ ყველა ხორცმეტეები არ არის ამოქრილი. პროფესორი ამ ოპერაციის შემდეგ გლნტ-ტრიზაციას შეუდგება, ბოლოს ავთომყოფი ერთ-ერთ სანატორიაში ტიროლს გაიგზავნება. ბ. ჯანოევი, სხვათა შორის, იწერება, თუმცა „ცნ. ფ.“-ში წავიკითხე, ვითომ მესხიშვილის სასარგებლოთ ფულს აგროვებენო, მარა მის აქვთ, რაც მესხიშვილი სახლგარ-გარეთ იმყოფება, არავის არაფერი არ გამოუგზავნიაო. დასასრულ, ბ. ჯანოევი გვაუწყებს, რომ ავთომყოფი არტისტი ამ ჟამათ ნივთიერათ მეტათ შევიწროვებულია და ამიტომ კარგი იქნება, ვისაც კი რამე აქვს შეკრებილი, საჩქაროთ გამოგზავნოს ან „დრამატიული საზოგადოების“, ან ი. ი. ჰურადოვის (ჟუთაისში) შემწეობით. მესხიშვილის ადრესი კი არის: Wien, Spitalgasse 9, Ph. 4.

კორესპონდენციები.

ჟ. ბათუმი. ორშაბათს 10 მარტს, ადგილობრივ საბჭოს მორიგი სხდომა იყო დაინიშნული. სხდომა გაისწრაფა ქალაქის თავის მოადგილის ბ. ვოლსკის თავმჯდომარეობით. სხვათა შორის დაინიშნული იყო გასარჩევან ქალაქის საავთომყოფოდაც დათხოვნილ „მოწყალების დის“ ქ-ნ აფანასიევის თხოვნა. ამ საქმემ თავის დროსე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენ ქალაქში და ამიტომაც იყო, რომ დაიბაზი გაკვიდილი იყო გარეშე მყოფებლებით, რომლებიც სულგანაბლები უდრიდენ საქმის გარჩევის დაწყებას. გაათავა თუ არა მდივანმა საკმაოთ გრძელი საქმის კითხვა, ბ. თავმჯდომარე შეუდგა მორიგი კითხვების გარჩევას. მან ჯერ თხოვნის შინაარსი გახსნა კრებას და მერე დასძინა: გამგეობა იმ აზრისაა, რომ ვინაიდან ამ საჩივრის განხილვა წესდების ძალით არ ექვემდებარება საბჭოს, რადგან წესდების ძალით საავთომყოფის უფროს ექიმს სრული უფლება აქვს მინიჭებული დაბალ მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნისა, ამიტომ გამგეობის აზრით ეს საკითხი უნდა უკუ-გაგდეთ. ხმოსნები გაიდაბურაკვი, თარუმიოვი და ბარაკოვსკი არ დაეთანხმენ გამგეობის აზრს და თქვეს, რომ საბჭოს აქვს უფლება ჩაერიოს საავთომყოფის საქმეში, უკეთეს ის არანორმალურათ წარმოებს და ამიტომ მითხროვენ კომისიის

არჩევა, რომელსაც დაეუფლება ამ საქმის გადამიჭრა. ხმოსნმა ვოლსკმა სთქვა, რომ ჩვენი საავთომყოფო არის დაწესებული, რომელიც ექვემდებარება ქალაქის თვითმმართველობას და უკეთესი ჩვენსა არა აქვს თვალყურის დაკვირვებით მის კარგად მოქმედების გისი საქმე უნდა იყოს ის. მართალი არის, თუგან ხმოსნმა წესდების ძალით წერილ მოსამსახურეების მიღება და დათხოვნა უფროსი ექიმის საქმეა, მაგრამ უკეთეს ის ამ უფლებას ბოლომდე მოიხმარს, ნუ თუ თვითმმართველობას არ აქვს უფლება ჩაერიოს საავთომყოფის შინაურ საქმეში. (ამ სიტყვებს გარეშე მყოფებლები ტაშის ტემით მიეგებენ, რაზედაც შენიშვნა მიეღეს თავმჯდომარისაგან, რომ მთა უფლებას არ აქვთ გამოამყვანონ თავანთი ადრესაცა ან პრეტესტი).

ამავე აზრის იყო ხმოსანი ქიქოძე, რომელმაც დასძინა, რატომ გამგეობამ არ გამოიბოძა ეს საქმე და ისე არ წარუდგინა საბჭოს გასარჩევანთ. ამასე თავმჯდომარემ უხასუხა: „მე შევეკითხე ამის შესახებ ქ-ნ აფანასიევისას, მარა მინ არა პითხრა და ამის შესახებ, ეგ სად უმჯობესა არისო! ხმოსანმა წერტილმა ის აზრი გამოთქვა, რომ საბჭოს არ აქვს განჩინის ძალით საავთომყოფის შინაურ საქმეში ჩარევის უფლება, მარა, რომ ვისე ი უსამყოფნება შემდეგში თავიდან ააცილოთ, სჭირდა ვიგჩინოთ ადმინისტრაციული კომისია, რომელსაც ექნება საავთომყოფო ჩაბარებული და თვალყურის გდება მასეო. ამასე თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ეგ აზრი ამ კითხვას არ შეეხება, ხედავ თუ თქვენ ეს ვსურთ, განცხადება შემოიტანეთ და შემდეგ სხდომასე განვიხილავთ. თავი ისახლება ხმოსანმა ხუდადოვმა, მან ურადლების დირსათაც არა სცნო ამდენი სჯაბასი და სთქვა: „განა დცის ამასე დაბარავი, ეს ჩვენი საქმე არ არის, უკუ ვაგდეთ ის და შემდეგ კითხვასე გადავიდეთ“. გარეშე მყოფებლებმა პრეტესტი გამოუცხადეს ხმოსნის ასეთ დიდებულ აზრს.

შემდეგ ამისა ბ. თავმჯდომარემ სთქვა, რომ, რადგანაც უმრავლესობას სურს განჩინეს ეს კითხვა, ამიტომ მე ვუდგამ ყუთს ამ საკითხს, ვისაც სურს კომისიის არჩევა თუთრ ყუთში ჩაგდოს კენჭი, ვისაც არა — შაკიო. ამ ნიშნით ამ საკითხს უყარეს კენჭი და 16 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 12 ხმის გათუთრდა, რასაც დამსწრე სალოცადება ხანგრძლივი ტაშის ტემით და „ვაშას“ ძახლით მიეგება. კომისიის წევრებათ ამოიჩინეს ხმოსნები: ვაჟაეი, წერეთელი, გაიდაბურაკვი და დიმიტრიადი.

რენევატი.

პვლახი. სადგურ ევლახზე მოსამსახურეთა გონების საზრდოსთვის რც რკინის გზის მართველობა ღრუნავს და არც სხვა ვინმე, თუძცა დიდათ ესაჭიროება მათ ისეთი რამ, რომ აქაურ სადგურზე მოსამსახურეთ, დიდსა თუ პეტარას, არ იზიდავდეს სამიკიტნო, ბილიარდ-ქადადდის თამაში, რაც მათ ნივთიერათ და გონებრებათ ადატაკებს.

ამ ორი წლის წინეთ ევლახის ასალ სადგურის კურთხევის დროს ერთმა გარეშე პირმა აღძრა კითხვა ევლახში სამკითხველას დაარსების შესახებ, რისთვისაც იწყინებრა ბ. ტრამპეტერმა იქვე გამართა ხელის მოწერა და მიანდო ფულის შეგროვება ტრახიას ბ. გავრიოვს, მანაც შეაგროვა ან მანათამდი, მაგრამ ჩვენდა საუბედურათ ეს ფული ახლა დაარსად არა ჩანს, რადგანაც ბ. ტრამპეტერმა შარშან თავი მოიკლა და ბ. გავრიოვიც სამსახურიდან დაითხოვეს დროებით.

როგორც გავიგეთ რკინის გზის ექიმს ბ. სტანიშევსკის მოუწადინებია ამ ფრიად საჭირო საქმის განხორციელება და იმედი ქონია შეგროვილ ასი მანათისა, მაგრამ ამ ფულის გზა და კვლისათვის ვეღარ მიუგნია. იმედი ბ. სტანიშევსკი თავს გამოიღებს ფრიად საჭირო საქმისათვის და ეცდება სამკითხველას დაარსების განხორციელებას.

ამ უკანასკნელ ათ წელიწადში შუშისა, დუბრაილისა და დუგანშირის მანქანის მცხოვრებთ იმდენი საზრდოც არ მოსდიოდა, რომ საჭმელათ ყოფნად, რის გამოც დიდძალი ფქვილი სადღებოდ რუსეთიდან მოტანილი, მარტან კი იმდენა მისაკალი მფიდა, რომ დღეში რავდენიმე ვაგონს ხორბალსა გზავნიან კასპიის აქთა მხარეს.

კარგი მისაგლის მიხედვით უნდა იყოს ცარცვა-გლეჯვის მოსახლეობა. წინეთ სმინათ დაუსვდებოდენ ხოლო შუშის გზა-ტვირთვებზე მგზავრებს და ცარცვაგდენ, ხელს კი ერთი შემთხვევაც აღარა ყოფილა აქეთკენ მგზავრთა განცარცვისა.

რკინის გზის მართველობამ სპი დიდი შენობა დასდგა მოსახესურთა დასასახლებლათ, მაგრამ ისინი მანც კიდევ შევიწროებულნი არიან. მოსამსახურთა რიცხვი დიდია, და ამიტომ აჭანისა მწონაგს, მელარეს, მესარეს და სხვებს ისეთ ზატარ-ზატარს ოთახებს აძლევენ, რომ ერთი კაცი ძლივს მოთავსდება, არამც თუ ცრფშიფილით დატრიალს. კანტორნიკებს კი ოთახებიდან კრეკებიან, და ისინიც იძულებული არიან 30 მ. დაიქირაონ ოთახი, რაც ძნელი საშოკარია.

უკვე დიდძალი ჭიის თესლი წაიღეს კანსტანტინოპოლიდან მოტანილი შუშისა და ნუხის მხარეს, სადაც დიდძალ აბრეშუმს აკეთებენ იქაური მსტორებნი. მათგან კი ვადულობენ ზარკათ აქაური შედლებული გაჭრები, რომელთაც რამდენჯანმე ჭიის ძაფის სახევი უდგათ, აკეთებენ ძაფს და გზავნიან მოსკოვ-მარსელში. შუშის მხრიდან იგზავნება რეგორც ბამბა ისე მატელი, ასე რომ აქედან მიდის დაუმუშავებელი მასალა, რუსეთიდან კი უბრუნდებათ იმავე მასალადან ქსოვილები. შუშის მხრიდანვე მოდის რუსეთში და საზღვარ-გარეთ გასავზავნათ დიდ-ძალი სპილენძი, ხაფის-ფარდაგი, თილი და კაკალი. ამ გვარათ განვითარებულ წარმოება-გაჭრების გამო ევლახის სადგურზე ისეთი მოძრაობაა, რომ ბევრ დიდ ქალაქის მოძრაობას გადააჭარბებს. სადგური ევლახი გაძაძლი-სი ალაგი რომ იყოს, აქამდის კარკა მოხრდილი ქალაქი გაშენდებოდა.

სადგურ ევლახიდან აბორბენ ვიწრო ლინდაგის ელექტრონის რკინის გზის გაყვანას ნუხა-შუშისაკენ. თუ ეს გამართლდა, მაშინ რამდენიმე ასს მეორეგუნეს მოკნობათ საზრდოს მოხვეების სახარო. უარის რკინის გზის გაყვანამ ბევრ მეორეგუნებს მოუხლო ცხოვრების სახარო და ბევრც ევლახში ჩამოვიდენ, რეგორც თათრები, ისე რუსები, რის გამოც გადასახიდი ფასი ისე დაიწია, რომ კიდევაც ზარალობენ, არამც თუ სეირი ნახან.

რუსული ია...ფა—ლი.

ბ. სურამი.

ოთხი წელია, რაც ჩვენ სოფელში არსებობს შემსახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, რომელიც სწორეთ რომ ცხუდ დღეზე დარჩა დაბადებული. ჯერ ცნობილ ირაკლი ივ. რამიშვილის დროს, რომელიც 1899 წ. გამკეთ ბრძანდებოდა, გაიდგა ფესვი ერთმა მიმართულებამ, რომელსაც აწერია—ეველათერი ცნრა-კლი-ტულში არავის ზასუხი, სრული უფანტროდლობა—და საზოგადოების საქმე უკან-უკან წავიდა. ის იყო, ომზონიციან ბოლო უნდა მოელო ამხანარ მდგომარეობისათვის, რომ მას მეორე ამხანაგი გაუჩნდა. ეს „ხიდისთაველი“ ბლად. ნ. რამიშვილია, რომელიც სპი წლის განიავლობაში საბჭოს თავმჯდომარეთ იყო. თუ რეგორი იყო მათი მოქმედება ეს წლეკანდელ წლეურ კრებაზე გამოირკვა 18 თებერვალს.

3 წელზე მეტია რაც ამოურჩეული იყო სარევიზიო კომისია, მარა მისი არსებობა ამდენი ხნის განმავლობაში არავის იცოდა, მხოლოდ 18 თებერვალს ვინილეთ სარევიზიო კომისიის ერთი წევრთაგანი—ბ. სერ. რამიშვილი; მხოლოდ ამ კრებაზე გავიცხეთ მათი ზირველი სიტყვა, სიტყვა; მოკლებული ყოველივე გარკვეულ მინაარსს. რეგორც კრებაზე ცხადი შეიქნა, მას, კომისიას, ერთი

კითხვაც გუდასმით არ გამოურკვევია, მარა სამაგიეროთ კრებამ გამოიჩინა დიდი წინდახედულება. მან გამოარკვია, რომ ყოფილი გამკე, სსენებელი ივ. რამიშვილი 1900 წ. აბრეშუმის-თესლის საყიდლათ გაუგზავნია გამკეობას და იქ თავის ნებამ 6 მ. შეტე დაუნარჯია, უკეთ რომ ვთქვათ 20 მ. რადგან 14 მ. აქედან მას უკვე შემდეგში დაუბრუნებია. ბევრჯერ ყოფილა დასმული ეს კითხვა კრებაზე, ბევრჯერ დაუნარჯავს თავისი „მარკალიტი“ სიტუები თვით ზატვიტულ ირ. ივ. რამიშვილს, რომელსაც თორმეტჯერ გაუტედა ეტლი, რაცა შავრიდან სამეურნეო საზოგადოებაში მიემგზავრებოდა, რეგორც მას ერთ-ერთ კრებაზე განცხადებია. ბევრი დაუნარჯა სიტუები ომზონიციანსაც, მარა „ხიდისთაველი“-ს დახმარებით ბელადი ყოველთვის მშრალზე რჩებოდა. 18 თებერვლის კრება კი სულ სხვანაირათ მოიქცა. რაცა „ხიდისთაველი“-ს კვადობრები თხოულობდენ ფული გამკეობას ვაზღვევინოთ. ომზონიციან თხოვნით კენჭი უყარეს წინადადებას და 35 ხმის უმეტესობით 12-ს წინააღმდეგ ვადდებული გასადას ირაკლი ივ. რამიშვილი უხდოს საზოგადოების ეს მის მიერ თვითნებობით დახარჯული 6 მ.

არა ხაკლები თავსამტვრევი შეიქნა მეორე კითხვა, რომელიც არა ხაკლებ საინტერესო ზირს—„ხიდისთაველი“ ბლ. ნ. რამიშვილს ეხებოდა, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეთ იყო. ვინც იცნობს მას, ისიც იცის, რომ მას მხოლოდ თავისთავი სწამს, რომ კოლეგია მისთვის არ არსებობს, და აი, კრებამაც გამოარკვია, რომ მთელი 3 წლის განმავლობაში საბჭოობდა არა საბჭო, არამედ მარტო-მარტო საბჭოს თავმჯდომარე, ის ნიშნავდა კრებებს, ის არჩევდა ანგარიშებს და სხვ. თავის დროზე ამის წინააღმდეგ ხმა ვერავის ამოელო, ამის გამოარკვევა „სახიფათო“ რამ გამსდაროყო. 18 თებ. კრებამ კი, მიიღო რა მსუდეულობაში საბჭოს ყოფილ თავმჯდომარის მოქმედება, თვითნებობისათვის მას საყვედური გამოუცხადა და თან გამართლდა მის მიერ უკანონო მოწვეულ 1901 წ. 20 მისის კრების დადგენილება. თუმცა შემდეგ ბევრი ეხვეწა „ხიდისთაველმა“ კრებას ამოქალაქო რქმიდან ეს ადგილი, მარა ვერა გასწოდა.

კრება ან თაც არ დაქმყოფილდა. კრებამ იცოდა და იცის ირაკლი ივ. რამიშვილის ვინაობა, იცის მისი მოქმედება და მის მეორე მუჯდუგუნიც უძღვნა. მიუხედავათ იმისა, რომ მან საზოგადოებას ზარადის შეტე ვერა შემატა რა, რომ მისი მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ საზარალო იყო საზოგადოებისათვის, ერთ-ერთ წინა წლეურ კრებაზე „ხიდისთაველი“-ს ზატრამ ის მხრუნეელის საგარემელზე წამოსაგუნა. მარა სულ სხვა „ნიკოს“ საზოგადოება და სულ სხვა დეკანდელი შეგნებული საზოგადოება. და აი კრებამაც დაადგინა: „დათხოვნილ იქნას მხრუნეულობიდან ირაკლი ივ. რამიშვილი“.

ბოლოს კრებამ გადაწყვიტა კასისა და სხვა წერილმან ნიკოების შეტენა და დახარჩენი ნაწილი მოგებისა კი გადადო ცალკე საგატრო ფონდის დასაარსებლათ.

18 თებერვლის კრებამ ბევრი რამ გვამიდა. აქ თქვენ სედავთ გარკვეულ ზატრებს, რომელთაც სერთო არავიერი აქეთ, რომელთა შორის მხოლოდ სამკედრო-სახიფოცხლო ოში შეიძლება.

მოსალოდნელი იყო ინტელიგენცია მოწინავე რამისა მოთავე განდებოდა, მარა ერთ-ორ ზირს გარდა ეს სრულიად არა ჩანს. ზირაქით, ბევრი მუჯდუგუნე „ინტელიგენციაში“ სწორეთ ხაფისს „უეულტურა“ შეილთავან მიიღო.

ჩვენ მიუულოცავთ ტარას-სერანზიონ-მელიტონებს მისსახედაც ჩამოქვეითებას. დეე, განაგრძონ თავიანთი საქმე „ხიდისთავლისა“ და ირაკლი ივ. რამიშვილის ზატრასთან შეერთებისა. რაც ადრე მოხდება, მით მათი მოქმედება მჭიდრო კალაპოტში ჩადგება.

სურბელი გლეხი.

მინიშნა. დაგვიზამთრდა, სუხსმა დარა და ისედაც არ-
სებულმა კრიზისმა უფრო სსსტიკათ მოედგა ფეხი და ერთიან
შთანთქა ჭათურაში ერთ დროს აბობქრებული მოცდათა. დღეს
სიხუმარა; არსაიღამ სმა, არსით ძახილი. გოგონას «ნაღიტა» დაურ-
და, შემოკმტვრა თუჯის კეცი; ცოლს სედლოთ ვერ დაატარებს,
ხელს არ უწევს მარჯანეცი!.. ცნობილი ექსპორტერები, როგორც
ქართველები, ისე ბერძნებიც უგელასნი გაჭრენ; არც ერთს მათგანს
მიღება და გზავნა ქვისა აღარა აქვთ, ფეს მადგმულია მხდლად
ზანასიე და შეიძლება ითქვას ფორფუდზედაც. ამს. «შავი ქვა», ეს
ერთათერთი კობერტული დაწესებულება, როგორც მკითხველსაც
მოკესხეება, გაჭრების გზაზე ადგია. მის გაჭრებას ხელს უწევს
წვერებისგან გულის ატრუება, ხდელ ამას იქით მისი მამებისა-
გან მამობრივი გულწვილობა და დაუდევრობა. საქმე იმაშია, რომ
წვერების თითქმის ორმა ნაწილმა, რაკი შეამხნია საზოგადოების
ერთხელვე რიგთანათ მოწყობლობა და ზინობებში მოსხეხებული
მუხლების შეტვლა, უარყო თავის თავათ ამ დაწესებულების ხელის
შეწება და თავიდანვე გარეშე ექსპორტერებთან დაიწყო ქვის ზიდ-
ვა მადულოთ, თუ გამოცხადებულათ. ეგელას კარგად მოეხ-
სენება, თუ რა შედეგი მოყვება ერთხელვე აბობქრებულ წარმოე-
ბის შეჩერებას, რასაკვირველია, უსაქმობა და აქაც ბევრი დარსა
უსაქმობა. უსაქმობა დიდის ბევრი მუშა და ის მისული მწარმოე-
ბელებიც, რომელნიც წინეთ ძალიან კმეოფილნი იყვენ ბედისა. აი
ამას მოყვა ძმა-ბიჭობა, რასაკვირველია, ძველებურათ: ღვინის სმით,
ჩხუბით და სხვადასხვა განსართობებით; აგრეთვე ამხედრდენ ზემო-
ურ-ქვემოურები ერთმანეთის წინააღმდეგ და ამას არც აქცევენ ვინ-
მე უურადლებას.

ა. ხაბულიანი.

ს. არზვითი. არ მგონია სადმე მოკლეს იმერეთში სწავ-
ლა-განათლებლით ისე უკან ჩემოჩენილი იყოს რომელიმე
საზოგადოება, როგორც არგეთის საზოგადოებას. ამ საზოგადო-
ებაში ითვლება ათასზე მეტი გლეხიცობა და სიმცირედ
ახსურნიც და ამოღება საზოგადოებაში არც ერთი შკოლა არ მო-
იზივება. ამ ოცი წლის წინეთ აქ ყოფილას სამინისტრო შკოლა და
ისიც დაუხურავთ, რადგან არავინ გულშემატკივარი არა ყოფილა;
სკოლის შენობა კი ორათ მიტოვებული დაინგრა და დღეს სა-
ზოგადოების გამოუსადეგრათ და დღეს ენასაც აღარავინა სძრავს
შკოლის შესახებ; თითქოს ჩვენ ხელს სწავლა სჯულის განხილთა
ქონდეს აღკრძალული.

თუმცა ფილქსურისგან ვგანახებინებ განადგურებამ, ქვა-გუნდის
წარმოების დატყობი ხელის ნივთიერათ დაქვეითა, მაგრამ იმდენი
შეძლება კიდევ მოეპოვებ რომ ათას კომლზე მეტ მცხოვრებელ
ერთი სკოლა მანინც დაიარსონ, მაგრამ ვინ არის პატრონი.

ნარ-მანი.

რუსეთის ცხოვრება.

ბეტერბურგში საბჭოს ახლათ გასწილი კრებამ უნდა განიხი-
ლოს ს. უურადლებს საგანი; სასოფლო მეურნეობაში მუშების და-
ცვა უბედურ შემთხვევათაგან. ამ საკითხის შესახებ სამიწათმქმე-
ლო სამინისტროსაგან მოხსენებას წარმოადგენილი, რომელშიც
შემდეგი ზომებია ნახეხები: 1) შემოღებულ უნდა იქნას ეკვლავს
სამეურნეო მანქანების მიზნით მომხდარ უბედურ შემთხვევათა რე-
გისტრაცია (ხაწვრა); ეს საქმე უნდა მიენდოს საკრებო ექიმთ, ის
გუბერნიები კი, სადაც ყრობა არ არის, გუბერნიის საკვიმო გამოე-
ობათ. 2) უნდა გააძინონ საკრებო დაწესებულებათ სამეურნეო სა-
ზოგადოებანი და შეიძლებისამებრ კერძო მეურნეები, თუ როგორ უნ-
და უზრუნველ ყონ მუშა სამეურნეო მანქანების მუშაობის დროს
დაზავებისაგან, როგორი უბრალო სამანქანო მოწყობილებანი არსე-

ბობენ ამ შემთხვევათა ასაცდენათ. 3) გამოეცხადონ რუსეთის სა-
მეურნეო მანქანათა ქარხნებს, აგრეთვე საზღვარ-გარეთელ ქარხნე-
ბის წარმომადგენელთ, რომ მათგან გაკეთებულ მანქანებს უნდა
ქონდეს ამნაირი მოწყობილობები. 4) უნდა მოხდეს მანქანების
რომ საკვლადებულ განხილბასი დაადგონ ამ მოწყობილებათა შესა-
ხებ.

ბეტერბურგში არსებობს ტექნიკოსთა საზოგადოება ამ სა-
ზოგადოებასთან განუზრახავთ ფინანსის შედგენა, საიდანაც ბრემი-
ბი მიეცემათ იმათ, ვინც საუკეთესო თბულებებს დასწერენ მუშათა
შრომის ზინობის გაუმჯობესობის შესახებ. ამ ფინანსის მოსაწ-
ვობათ შესდგა განსაკუთრებული კომისია.

— ფინანსდის ოფიციალურ გახეთში დაბეჭდილია ფინდი-
ანდიის სასწავლებელთა უმთავრეს მართველობის ცირკულიარი, რომელშიც
ნათქვამია; საქმეთა აწინდელი მდგომარეობის გამო დი-
დათ საჭიროა, რომ ფინდიანდიის ეგელას სასწავლებელთა მასწავ-
ლებლნი და მოწაფენი არ გაერიონ სხვადასხვა დემონსტრაციებში,
რომელნიც ეხლას იმართება ფინდიანდიის, განსაკუთრებით ისეთ
დემონსტრაციებში, რომელთაც ზოლიტიკური ხასიათი აქვთ. ამი-
ტომ მართველობა იწვევს სასწავლებელთა გამოგეთ ბეჯითათ ადგე-
ნონ თავადური, რომ მასწავლებელთ და მოსწავლეთ წესიერება არ
დაარღვიონ.

— მთავრობამ განმარტა, რომ რკინის გზის მოსამსახურენი
და მუშები უსათუგო განთავისუფლებულ უნდა იქნენ იმ ფულის
გაღებისაგან, რომელსაც სამკურნალო შემწეობისთვის კრებენ, რა-
დგან რკინის გზა კვლადებულას საავთმეოფიკები თავის ხარჯით
შეინახოს.

— სიმეურნეობის საოქო სასამართლომ ერთი საინტერე-
სო საქმე გააჩნია. გაზ. „იუნ. გურნიკ“-ის რედაქტორს, დ. ოფ-
სეენკოს, ბრალათ ედებოდა ცენზურისაგან აკრძალულ წერილის და-
ბეჭვა. ამ წერილში მოთხრობილი იყო, თუ როგორ დაესხა თავს
ქუჩაში ბრბო გახეთის ერთ თანამშრომელს. მთელი საზოგადოება
აადელვას ამ შემთხვევამ და რედაქტორი იძულებული იყო დაებეჭდა
წერილი, თუმცა იგი ცენზორმა აკრძალა. ბ-ნი ოფსეენკო არ უარ-
ყოფიდა აკრძალულ წერილის დაბეჭდას, მანა ბრალდებულს და-
ცველი ბ. ტალალაევი ამტკიცებდა, დაბეჭდილი წერილის შინაარსი
არ ეწინააღმდეგება არც ერთ მუსლს სცენზურა წესდებისა და
სრული უფლება მქონდა დაბეჭდა წერილი, რომელიც უთუგო შე-
ცდომით იყო აკრძალული ცენზორისაგან. ცენზორი ადამიანია, და,
როგორც ადამიანი, მასაც შეუძლია შეცდეს. წაკითხულ იქნა ცენ-
ზორის ბრალთი, რომელშიც უკანასკნელი ამბობდა, წერილი საცენ-
ზურა წესდების არ ეწინააღმდეგება, მხოლოდ მისი დაბეჭდა
ადგილობრივი გახეთში შეუძლებელი ვგანია. აკრძალული წერილი
ეგელას სტატუსო და ზრფინცი-ლურმა გახეთებმა გადაბეჭდას. სას-
მართლომ მიუსაჯა ოფსეენკოს 10 მან. ჯარიმა.

— ერთი ფინდიანდიის გახეთი, „Nauswasti“ ბეჭდვითი
სიტყვის გამოცემა 5 დღით დასურა, რადგან ამ გახეთმა სკლმწე-
ფის მანიფესტი 26 თებერვლის გახეთის ბოლოში მე-ნ-ე გვერ-
დზე დაბეჭდა. („ნოკ. ობოზრ.“)

— სასაღხო განათლების სამინისტრომ გამოსცა სასაღხო
ბიბლიოთეკისთვის და სამკითხველთებისთვის კატალოგის დამა-
ტება. ამ გამოცემაში დაბეჭდილია სამკითხველთების გამოგეთა და
ზედამხედველთათვის სახელმძღვანელოთ სხვადასხვა წესები და გან-
კარგულებანი. შოგ ჩართულია აგრეთვე სასაღხო ბიბლიოთეკებში
გამოსაწვრათ ნუბადართულ უურნაღ-გახეთების სია. სიაში ჩამოთ-
ვლილ 72 უურნაღ-გახეთის გარდა, ბიბლიოთეკებს შეუძლიათ გა-
მოიწერონ: ა) ეგელას უურნაღ-გახეთები, სასულიერო მთავრობისა-
გან და ცენზურისაგან ნუბადართული, იმ გამოცემათა გარდა, რომელთაც
სასულიერო უწევს ბიბლიოთეკებისთვის უსარგებლოთ
ცნობს; ბ) მთავრობისაგან გამოცემული ეგელას უურნაღ-გახეთები

შავარდენის სიყვარული.

[მ. გორკისა].

მალა, შორს, მთებში, ნესტიან ხევში, აცოცებული ანკარა იწვა და, დახვეული, ვითარცა გვერგვი, დასჩერებოდა ზღვასამშფოთარეს.

მალა, ზეცაში მზე ანათებდა, და მთები სიციხით ძლივს-ლა სუნთქავდნენ... და იმა ხევში ზღვისკენ მიჰქროდა გამა-ლებული მთის ნაკადული; ქაფ-მორეული, გაჯავრებული ღმულოდა იგი: მძლავრი, მედგარი, კლდე-ღრეს ანგრევდა, გზას იკაფავდა, მიხტოდა სწრაფათ და ზღვას ერთვოდა.

ანაზღვეულათ, სწორეთ იმ ხევში, საცა ანკარა დახვეუ-ლიყო, გულგანგმირული, ფრთა-სისხლიანი ძირს ჩამოვარ-და იქ შავარდენი.

ოდნავ შეჰკვივლა, როცა დაეცა იგი მიწაზე... წამოიწია—უნდოდა ისევ მალა აფრენა, მაგრამ ამაოთ ის ფართხალებდა.

ანკარა შეერთა... შეშინებული გვერდზე გაცოცდა, მა-გრამ, რა მიხვდა, რომ შავარდენი ორ-სამ წუთასაც თუ იცოცხლებდა, მიცოცდა ახლოს და მომაკვდავსა ფრინველს სისინით ის შეეერთხა: „რა არის, კვდები“?... ჰო, კვდები! უთხრა მას შავარდენმა და ერთი მწარეთამოიოხრა... კარგათ ვცხოვრობდი! მე ვიცი რა არს ბედნიერება! მედგრათ ვიბრ-ძოდდი! მე ზეცაც ვნახე... შენ ვერა ნახე მას ისე ახლო! ეჰ, შე საბრალო!... „რა არის ზეცა?! ზბრალო სივრცე! რო-გორ ვიხიხი მე იმ სივრცეში?! აქ მე კარგათ ვარ. თბილი ჰაერი, ნოტიო მიწა“. ეს უპასუხა ანკარამ ფრინველს თავი-სუფალსა და გაიფიქრა მან შავარდენზე: სულელიაო.

აქ შავარდენმა შეიფრთხილა, წამოიწია და გარეშემო მოავლო თვალი.

იქვე კლდე იყო, ჟონავდა წყალი, შეგუბებული იდგა ჰაერი; რალაც სიღამძლის და შმორის სუნი იდგა იმ ხევში.

გულ-განგმირულმა უკანასკნელი შემოიკრიბა ფრინველ-მა ღონე და ეს წარმოსთქვა მწუხარებითა: „ნეტავი ერთხელ, მხოლოთ ერთხელა ზე ამათრინა!.. მტერს შევებრძოდი, და-კოდილ გულში ჩავიხუტებდი და ჩავახიობდი ჩემსავე სისხლ-ში... ოხ, ბრძოლა! ბრძოლა! ჩემო იმედო, მხოლოდ შენ, ჩემო ბედნიერებაე!“

გაკვირვებული ყურსა უგდებდა ანკარა კენესას შავარ-დენისას. „ალბათ იქ, ცაში მართლა კარგია, ჯიფიქრა მან და ეს ჯიჩია მომაკვდავ ფრინველს: ხევის ნაპირას, სცადე, მიფოფხდი... ძირს გადაეშვი, ეგებ როგორმე გიშველოს ფრთებმა და შენ სტიქიონში, თუ დიდხანს არა, სულ ცო-ტა ხნობით მაინც იცოცხლებ“.

ანკარას რჩევამ ერთოლა მოგვარა საწყალ შავარდენს. ოდნავ შეკვივლა და მიაშურა ხრამს გადასავარდნს.

კლანჭი უხსლტოდა სლიკიან ქვებზე, ძლივს, როგორც იყო, მიხიხდა ხრამთან, ფრთა გაისწორა, შემოიკრიბა უკანასკნელი ძალი და ღონე და უფსკრულისკენ გადაერია...

ველარ შეველოდა ოდესღაც მძლავრი თავისი ფრთები, ხან ერთ გამოწვდილ კლდეს ეხლებოდა და ხან მეორეს... დაემტვრა ფრთები, გასცივდა ბუმბლი. ბოლოს, სულთ-მო-ბრძავს, ნაკადულისა მოასწრო ტალღამ, თვისკენ მიიგდო, სისხლით მოსვრილი, გაბან-განწმინდა, გახვია ქაფში და შა-ვარდენი ზღვისკენ წაიღო. ზღვა კი შფოთავდა. გულ შესა-ზარი რალაც ღრიალით მისი ტალღები კლდეს ეხლებოდნენ. შავარდენი კი ზღვისა სივრცეში აღარსად ჩანდა.

II.

მოკვდა ფრინველი. ჩვენი ანკარა დიდხანს ფიქრობდა

იმის სიკვდილზე, მისა ზეცისკენ მისწრაფებაზე. ბოლოს ახ-წია ზევითკენ თავი და, რა იხილა ლაყვარდის ფერი, ალერ-სიანი, იმედ-აღმძვრელი ცა უკიდური, ეს გაიფიქრა: „ნე-ტავ ვიცილდე რა ნახა იმან უძირ-ნაპირო ამ უღმარებელში“

თვის ოცნებებით აღმაფრენაზე რისთვის გვხიბლავენ? რისთვის გვირღვევენ მყუდრო ცხოვრებას?!. მოდი ერთი ვცდი, ზე აფვრინდებ ცოტა ხნობითა და ყველაფერსა მა-შინ გავიგებ“. სთქვა აღასრულა. მთლათ შეიკუმშა, ბექდის ოდენათ ის გარდაიქცა, ავარდა ზევით და მზის სხივებზე ვი-წრო ზოლივით მან გაიფლვა. მაგრამ ანკარას სულ დაავიწყ-და ერთი მცირედი გარემოება: რომ გაჩენილი ხიხვისთვის იგი ზეცაში ფრენას ვერ შეიძლებდა.

ძირს ჩამოვარდა, ქვებზე დაეცა, არ დაიმტვრა კი, და გულიანათ გადიხარხარა...

„მაშ ამაშია სიმშვენიერე აღმაფრენისა!.. რომ აფრინ-დები, იმავ წუთში ძირს დაეცემი! რა სასაცილო რამა ყო-ფილან ეს ფრინველები! სულ არ იცნობენ ისინი მიწას, რა-ლაცას სწუხან, მალა მიილტვის მათი გონება, იმ ცარიელ-სა სივრცეში უნდათ იმათ სიცოცხლე... იქ კი რა არის? უნიადაგო მარტო ჰაერი... იქ, მართალია, არის სინათლე, მაგრამ რას ვარგა მარტო სინათლე, თუ ცოცხალ სხეულს არა აქვს საზრდო! მარტო სინათლე უნიადაგოთ?! ნეტავ ვიცილდე რას ამაყობენ? რას ნიშნავს მათი საყვედურები?... ალბათ მათა სურთ ამით დაფარონ მთლათ სულელური მის-წრაფებანი, დაფარონ თვისი უვარგისობა ცხოვრებისათვის!..

ოხ, სასაცილო ეს ფრინველები!.. ვერ შემაცდენენ ეხ-ლა მე მათი ცხელი სიტყვები!..

გავიგე ეხლა მე ყველაფერი... მე ვნახე ზეცა, კიდევ აფვრინდი... გავზომე კიდევც... ძირს ჩამოვვარდი... არ დავი-მტვერი, მხოლოთ გავმაგრდი; ჩემი თავისა რწმენა მას შემ-დგე უფრო შემეჭნა. ვისაც არ უყვარს ეს დედა-მიწა—დე იოცნებონ, მოიტყუილონ თავიანთ თავი... მე... მე კი ვიცი სად არს სიმართლე. ყურს არ დავუგდებ მათ ცხელ-ცხელ სიტყვებს, არ დავუჯერებ აწ არაფერსა.

„მიწის შექმნილი—მიწით ვცოცხლიობ მე“.

და რა სთქვა ესა მთლათ შეიკუმშა და გაწვა ქვაზე თავმოშწონეთა.

ზღვა ლაპლაპებდა, მისი ტალღები მხეცურ ღრიალით ნაპირებს სცემდნენ, ემუქრებოდნენ... იმათ ღრიალში გამოი-სმოდა მედიდური რამ ხმა სიმღერისა ამაყ ფრინველზე... მთა ირყეოდა ტალღების ცემით, ზეცა კი—იმ ხმით მედიდური-თა...

„თავ-განწირულთა, მამაცთ ვუგალობთ ქებათა-ქებას.

თავგანწირულთა—აი რაშია სიცოცხლის აზრი! ოჰ შა-ვარდენო, მამაცო, კარგო! მტერთან ბრძოლაში შენ დაიცა-ლე მთლათ სისხლისაგან; მაგრამ მოვა დრო, როს დანთხეუ-ლი სისხლის წვეთები შენი, ფრინველო, უცბათ იფეთქვენ სიზნელით მოცულ ამ ქვეყანაში და აღუნთებენ გულს შე-ნებრ მამაცთ თავისუფლების და სიმართლის მოსაპოვებლათ.

მოკვდი, ფრინველო, მაგრამ რა ვუყოთ!

შენებრ მამაცი, სულათ ძლიერნი, გიმღერენ ქებას. თავგანწირული შენი აქ ბრძოლა, გამირული ქცევა სამაგა-ლითო იქნება სხვისთვის და შენებრ მამაცთ აღუბერებს გულს თავისუფლების და სიმართლის მოსაპოვებლათ.

თავგანწირულთა, მამაცთ ვუგალობთ ქებათა-ქებას“..

ნ ა წ ყ ვ ე ბ ი .

ზამთარს სული ეპარება,
მოდის ტურფა გაზაფხული,
იხატება მთა და ბარი
და სიამით ფეთქავს გული.

ჩუ! იქ შაშვი აგალობდა,
აქ—ბულბული ტკბილ-ხმიანი...
გაუმარჯოს გაზაფხულსა!
ძირს ზამთარი სუსხიანი!

ვ. რუხაძე.

ა მ ო ნ ა კ ე ნ ე ს ი .

ალარ თრთის ჩანგი სასიხარულოთ
მისუსტდა ღონე, მისუსტდა ძალა,
რაც მიჩნდა მარად ცხოვრების ფარათ
ანაზღადა ხელში გამომეცალა.

გამტყორცნა მკაცრათ მწარე ცხოვრებამ
სევდა ნალველი ალარ მაკმარა,
ფეხქვეშ გამთელა შეუჩანებლათ
უკვე სიცოცხლით დამსამარა!..

უმეგობრობამ, შურმა და მტრობამ
გულს ამიშალა მწველი იარა,
შავბედისაგან წარმოგზავნილმა
შავმა ყორანმა თავს გადმიარა.

აწ არა მრწმენი ცრუ საწუთროზე
დავითი გულითა განშორებული,
და ვდგევარ ვითა, ტაძარი შორ მთის
მწვერვალზე მდგომი მიტოვებული.

თუმც იშვიათათ ისიც ოცნებით,
იმედის სხივი გულს მომფენია,
იქვე ჩამკვდარა სწრაფლ უმნიშვნელოთ,
ნატამალიც კი არ დამჩენია.

რისი იმედი რის ნეტარება,
როს შევეცქერ ნისლით დაბურულ მხარეს,
ტბათ ქცეულ ცრემლებს აქა იქ ველზე,
ერს გულ-ჩათხრობილს და მგლოვიარეს,

გმირს შეშინებულს, დაქვეითებულს,
მეტყველს სიცოცხლით დაღუმებულსა,
გონებით მდიდარს გალატაკებულს,
და უგნურებას გამეფებულსა!..

შევცქერ და გულით აღმონახეთქი
თვალთ ნაკადული გადმომდის ღვარათ
და ზიზლით ვამბობ შავ-ბნელ სიცოცხლეს,
სამარე გვიჯობს თავშესაფარათ.

ღარა ხუნდაძისა.

ა ზ რ ი

(ლეონიდე ანდრეეისა)
(გაგრძელება *).

პირველი, რასაც ექსპერტები მიაქცევდნ ყურადღებას,
ეს იქნებოდა შთამომავლობითი გავლენა და ჩემი შთამომავ-
ლობა კი სასიხარულოთ ხელს მიწყობდა. მამა ალკოვოლიკი

მყავდა, ერთმა ბიძამ საგიჟეში დალია სული, დაბოლოს, ჩე-
მი ერთათ-ერთი და, განსვენებული ანა, ებილესით იტან-
ჯებოდა. მართალია დედის მხრივ ჩვენ ყველანაირად ველოდით
ვით, მაგრამ სიგიჟის ერთი წვეთიც საკმაოა, რამდენიმე წელი
გი შთამომავლობისა მოშხამოს. ავებულობით მე დედასა ვგაე-
დი, მაგრამ ზოგიერთი ჩემი განსაკუთრებული თვისებები
უეჭველათ კარგ სამსახურს გამიწვედნ. ჩემ მისწრაფებას მარ-
ტობისადმი, რომელიც თავისთავათ ქკუის სისადის ნიშანია,—
თავისთავის და წიგნების საზოგადოებაში დროს გატარება
უფრო არ ჯობია, ვიდრე უზრო და სულელური ლაყობა?
—ამ მისწრაფებას მიზანტროპიას დაარქმევდნ. ჩემ ცივ ტემ-
პერამენტში, რომელიც უარსა ყოფს და არ ეძებს გრძნო-
ბიერ სიტკბოებას—დეგენერაციის ნიშნებს დაინახავდნ. თი-
თონ ჯიუტი მისწრაფება განზრახულ მიზნისადმი, რითაც
აგრე მდიდარია ჩვენი ცხოვრება, ბ-ნ ექსპერტების ენაზე სა-
შიშარი მონომანიის სახელით მოინათლებოდა. ამავბისთვის
საკმაო იყო კიდევ მიგემატებით ორი სამი რამ და სიგიჟის
სურათი უკვე დასრულებული იქნებოდა. და მე ცხადათ წარ-
მოვიდგინე ოუ რა მშვენიერი, ცოცხალი სურათი იქნებოდა
ეს. მართალია მე მოთხრობებს არ ვწერ, მაგრამ მხატვრულ
გემოსა და ფანტაზიის ნიქს მოკლებული როდი ვარ!

მე დავრწმუნდი, რომ ჩემ როლს მშვენივრათ ჩავატარებ-
დი. მისწრაფება თავის მოკატუნებისადმი ჩემ ბუნებაში ყო-
ველთვის არსებობდა. ჯერ კიდევ გიმნაზიაში მე ვთხზავდი
მეგობრობას, დავდიოდი მკლავში მკლავ გამოდებულნი, რო-
გორც ამას ნამდვილი მეგობრები სჩადიან, ვითომ გულახდილ
საუბარსაც ვაგმართავდი და ამნაირათ ვადმომიწყობდა თუ
არა ვინმე თავის გულს, მე ვავსტყორცნიდი მას შორს ამაყი
შეგნებით ჩემი ძალისა და თავისუფლებისა. ასეთი ორკოფი
ვიყავი მე სახლშიც, ნათესავებშიც; როგორც „სტაროვერე-
ბის“ ოჯახში აქვთ განსაკუთრებული ქურქელი უცხოთათვის,
ისე მეც მქონდა ადამიანებისთვის სხვა ნაირი ღიმილი, სხვა
ნაირი მუსაიფი, სხვა ნაირი გულახდილობა. მე ვხედავდი,
რომ ადამიანები ბევრნაირ სისულელეს სჩადიან, ბევრ ზიანს
უშვებიან თავის თავს და მეგონა, რომ თუ ყველას ვუთხარი
სიმართლე ჩემ შესახებ, მეც სხვებს დავემზავსები და იმათი
სისულელე შემიბჰრობს მეთქი. მე ყოველთვის პატივისცე-
მით ვეპყრობოდი იმათ, ვინც მეზიზღებოდა, ვკოცნიდი მათ,
ვინც მძაგდა და მეზიზღებოდა—ეს მხდიდა მე თავისუფლათ
და სხვებზე მბატონებდა. ნაცვლათ მე არ ვიცი, თუ რას
ქვია სიცრუე თავისივე თავის წინაშე—ეს ყველაზე უფრო
გავრცელებული და უსაზიზღროესი თვისება ცხოვრების მიერ
ძლეული კაცისა. და რაც უფრო მეტს ვატყუებდი სხვებს,
მით უფრო მართალს ვეუბნებოდი თავის თავს და ეს კი ისე-
თი ღირებოდა, რომელსაც ბევრი ვერ დაიკვებებს ადამიანებში.

საზოგადოთ ვგონებ, რომ ჩემში დიდი მსახიობი იმაღე-
ბოდა, რომელიც ხანდახან სინამდვილეს ისე უახლოვდებოდა,
რომ ნამდვილიდან ვერ გაარჩევდით. ასეგასინჯეთ, უბრალო
კითხვის დროსაც მე მივძვრებოდი გამოხატული გმირის სულ-
ში და თუ დამიჯერებთ—კარგა დიდი ვიყავი, როცა ცხარე
კრემლებით ვტიროდი „ბიძია თომას ქობის“ კითხვის დროს.
რა საკვირველი და მიმტაცი თვისებაა ფერის ცვალემა! ცო-
ცხლობ, თითქო ათასი სიცოცხლით, ხან ეშვები ჯოჯობე-
თის უფსკრულამდე, ხან უსაზღვრო ნათელში ფრინავ, ერთი
გაღახვით უჭვრეტ დაუსრულებელ სამყაროს. თუ კაცს
ოდესმე მოუწია ღმერთობა, მისი საკურთხეველი უეჭველათ
წიგნი იქნება...

ღიახ, ეს აგრეა. მართლა, მე უნდა შემოგჩივლოთ აქა-
ურ წეს-რიგზე. ხან დაძინებას მიბრძანებენ, როცა წერა მინ-

*) იხ. „კვალი“ № 11.

და, რაცა მე შვირია წერა, ხან კარებს მიტოვებენ ღიას და მე იძულებული ვარ ვისმინო, თუ როგორ ღრიალებს რომელიმე გაყი. ღრიალებს, ღრიალებს—ეს სწორეთ რომ აუტანელია. ასე მართლაც რომ გააგიჟებენ ადამიანს და მერე იტყვიან, გიყი იყო. და ნუთუ მათ არა აქვთ ერთი სანთელი, რომ ელექტრონით არ გამიფუჭონ თვალები?

და ასე. ოდესმე სცენაზე შესვლასაც კი ვაპირებდი, მაგრამ ამ სულელურ ფიქრს მალე დავანებე თავი: თვალთმაქცობას, როცა ყველამ იცის, რომ ეს თვალთმაქცობაა, ეკარგება ფასი. ამასთან იმათი იაფი გვირგვინები მე სრულებით არ მიტაცებდენ. ჩემ ხელოვნებაში თქვენ ისიც დაგარწმუნებთ, რომ დღესაც ბევრია ისეთი ვირი, რომელსაც მე უწრფელეს და უგულახდილეს ადამიანათ მივანწივარ. მართლა ვირებს კი არა, — ეს სიჩქარით წამომცდა—არამედ მართლა ჰქვიან კაცებს ვატყუებდი. არსებობენ მხოლოდ ორი კატეგორიის დაბალი წრის ცხოველები, რომელთა ნდობა ვერ დავიმსახურე: ეს არის ქალები და ძაღლები.

თქვენ მოგეხსენებათ ალბათ, რომ პატივცემულ ტატიანა ნიკოლოზის ასულს, არაოდეს არ ჯეროდა ჩემი სიყვარული და არ ჯერა, მგონი, არცახლა, როცა მე მისი ქმარი მოვკალი მისი ლოდიკით გამოდის აგრე: მე ტატიანა არ მიყვარდა და ალექსი კი მოვკალ იმიტომ, რომ მას, ტატიანას, უყვარდა იგი. ეს სისულელე მას ალბათ სიმართლე გონია. ჰქვიანი ქალი კია!

გიყის როლში შესვლა მე მეადვილებოდა. ნაწილი იმ ცოდნის, თუ როგორ მოექცეულიყავი წიგნებდენ შევიძინე ნაწილი კი მე უნდა შემექმნა საკუთარი შემოქმედებითი ნიჭით, როგორც ნამდვილ მსახიობს და დანარჩენი კი საზოგადოებას უნდა შეეცხო, რომელიც კარგა ხანია შეაჩვიეს რამდენიმე ბუნდოვანი კონტურებით ცოცხალი პირების შექმნას. რა თქმა უნდა ნაკლი მაინც იქნებოდა ჩემს ასრულებაში და ეს საშიშო იყო, რადგანაც სასტიკი ექსპერტიზა მომელოდა, მაგრამ გულის გატება არ იყო საჭირო. ფართო სარბიელი ფსიხო-პათოლოგიისა, ჯერ კიდევ ისე ცოტა დამუშავებულია, იმაში ჯერ კიდევ ისე ბლომათაა სიბნელე, ისე დიდი ნიადაგი აქვს იმაში ფანტაზიორობასა და სუბიექტივიზმს, რომ მე თამამათ ვაგდებდი, ბბ. ექსპერტებო, თქვენს ხელში ჩემ ბედს. იმედია, რომ ამ სიტყვებში თქვენ არაფერი გეწყინებათ. მე თქვენი ავტო რიტეტის შედეგად რადი ცუტს და ამაში თქვენც უნდა დამეთანხმოთ, როგორც კეთილ-სინდისიერი და მეცნიერულათ მოაზრე ადამიანები.

... როგორც იქნა დაანება თავი ღრიალს—ეს აუტანელია!...

ჯერ კიდევ როცა ჩემი პლანი ახალ-დაბადებული იყო, მე დამებადა თავში აზრი, რომელიც არა მგონია, რომ გაეს ესტუმროს. ეს აზრად:—შიში, რომელიც შეცდომაა მხოლოდ ჩემ ცდას. თქვენ გესმით, თუ რაზე ვლაპარაკობ? სიგიჟე—ეს ისეთი ცეცხლია, რომელთანაც ხუმრობა საფრთხილოა. თოფის წამლით სავსე სარდაფში რომ ცეცხლი დაანთო, უფრო არასაშიშ მდგომარეობაში ხართ, ვიდრე მაშინ, როცა სულ პაწაწკინტელა აზრი ჩაგვიარდებათ თავში სიგიჟის შესახებ. და ეს მე ვიცოდი, ვიცოდი, მაგრამ განსაცდელი განა რაიმეს შეადგენს მამაკაცისათვის?

და განა ჩემი აზრი, მაგარი, ნათელი, თითქო ფოლადისაგან გამოქედილი ჩემი აზრი, განა არ იყო ჩემი დამჯერე? როგორც ორმკვეთი, ახლათ გაღვსილი სამართებელი, ის მკბენდა, მხვლევტდა, უხმოთ, როგორც გველი, მიძვრებოდა

ჩემი გულის გამოუკვლეველ ქუქურტანებში, მაგრამ, მისი ტარ-მუქი მე მეჭირა ხელში, ჩემს გამოცდილ მსახიობის ხელში და აბა უნდა გენახათ რა დამჯერე, ჩემი ბრძანების აღმასრულებელი იყო ის, ჩემი აზრი, და მეც, როგორ მიყვარდა ის, ჩემი მონა, ჩემი საშიში ძალა, ჩემი ერთათ-ერთი სიმძლიერე—ჩემი აზრი..

... ის კიდევ ღრიალებს და მე აღარ შემიძლია ვწერო. რა ცუდია, როცა კაცი ღრიალებს! მე ათასნაირი ხმა გამიგონია, მაგრამ ეს—ღრიალი—ყველაზე უსაძგლესი და უსაშიშროესია. ის არა ჰგავს არაფერს—ეს მხეცის ხმაა, ადამიანის ყანყრატოდან ამონავალი, რაღაც სასტიკი და თან ლაჩრული, თავისუფალი და საბრალო ხმა. ბაგე იღმანქება, სახის კუნთები ბაწარივით დაქიმულია, კბილები დახტენილი და ბნელი ხვრელიდან კი ამოდის ეს საზიზღარი, მოღრიალე მსტენინავი და მტირალი ხმა, ღრიალი...

დაახ. დაახ, აგეთი იყო ჩემი აზრი. მართლა, თქვენ, რა თქმა უნდა, ჩემს ნაწერსაც დააკვირდებით და გთხოვთ ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რომ ის ხანდახან თითქოს იცვლება და კანკალობს. ეს არაფერია! მე დიდი ხანია არ მიწერია, უკანასკნელმა ამბებმა და თან უძილობამ დამასუსტეს მე და ამის გამოა, რომ ჩემი ხელი კანკალობს. ეს წინეთაც დამართა.

ფურცელი მესამე.

ახლა კი თქვენ უნდა გაიგოთ, თუ რა საშიშარი სიგიჟე დამემართა მე ყორგანოვისას საღამოს. ეს იყო ჩემი პირველი ცდა, პირველი დებიუტი, რომელმაც ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. თითქოს ყველას წინდაწინ ცოდნოდეს, რომ ეს დამემართებოდა, თითქოს უეცრათ გაგიჟება სრულიად სადი ადამიანისა იმათ თვალში ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენა იყოს, ისეთი მოვლენა, რომელსაც ყოველთვის უნდა მოელოდეს. არავის გაკვირვებია,—რა ძვირათ შეხვდებოდა გასტროლერს ისეთი მშვენიერი ტრუპაა, როგორც ეს გულ-უბრყვილო, სულელი და დანდობილი ბრბო! მოგიყვენ ისინი, თუ რა ფერმიხდილი და საშიში ვიყავ? როგორი ცივი—დაახ, სწორეთ ცივი ოფლი დამასხა სახეზე? როგორი გიჟური ცეცხლით აინთენ ჩემი შავი თვალები? როცა ყველა ეს გადამომცეს—მე მოწყენილი და მოღუშული ვიყავი და ჩემი შინაგანი არსება კი ერთიანათ ამაცობდა და მხიარულობდა.

ტატიანა და იმისი ქმარი იმ საღამოს არ ყოფილან—არ ვიცი მიაქციეთ თუ არა ამ გარემოებას ყურადღება! და უბრალო შემთხვევით კი არ მომხდარა, მე განგებ შევარჩიე ეს დრო—ისინი რომ არ იყვენ: მე შეშინოდა ის არ დამფრთხალიყო, შეშინოდა არ დაეჭვიანებულყო. თუ ვინმე მიხვდებოდა ჩემს თამაშს, ეს უეჭველათ ტატიანა.

საზოგადოთ იქ არაფერი ყოფილა შემთხვევითი. პირიქით, ყოველივე წვრილმანი წინდაწინვე მქონდა გათვალისწინებული. მომენტი სიგიჟის მოსვლისა—ვახშამზე დაჯდომის დრო—მე განგებ ავირჩიე: მაშინ ყველა თავშეყრილი იქნებოდა. დავჯექი მე სტოლის ყურთან, გვერდით მოვიჯინე პაელე პეტრეს ძე პასპელოვი—ეს ჩასუქებული ღორი, რომლისთვისაც დიდი ხანია მწყუროდა რაიმე უსიამოვნება მიმეყენებია. განსაკუთრებით საზიზღარი ის მაშინ არის, როდესაც ჰამს. როცა ის პირველათ დაინახე ჰამის დროს, ვიფიქრე, რომ ჰამა გარყენილება მეტქი. იქ ყველაფერი რიგზე იყო. დარწმუნებული ვარ—არცერთ იმათგანს არ შეუძინევია ის გარე-



ქართული

წიგნების კავშირი

ოება, რომ თეფში, რომელიც მე მუქით დავამსხვრიე, განგებ ზელსახოცით იყო დაფარული. ეს იმიტომ, რომ ხელი არ მომიჭრა.

თვით ფოკუსი მეტის მეტათ მოუხეშავი, თითქმისსულელური იყო, მაგრამ მეც ვე მინდოდა. სხვა ნაირ ხუმრობას ისინი ვერ გაიგებდნენ. ჯერ მე ვაქნედი ხელებს და „გატაცებულ“ ვესაუბრებოდი პავლე პეტრეს ძეს—ის კი გაკვირვებით შემომამატებდა. შემდეგ მე თითქოს დავეფიქრდი და მოვეუცადე ირინე პავლეს ასულის კითხვას:

— რა იყო ანტონ ვენატეს ძე? რათ დაღონებულხარ?

ამ კითხვაზე ყველამ მე შემომხედა, მე კი ტრაგიკულათ გავიღიმე.

— ავთ ხომ არა ხართ?

— ჰო, ცოტა რაღაც ბრუ მესხმის, მაგრამ ნუ სწუხართ, თუ ხათრი გაქვთ, ეს მალე გაივლის.

თუმცა დიასახლისი დამშვიდდა, მაგრამ პავლე პეტრეს ძე კი მაინც იქვით, განზე მიცქერდა. ხოლო შემდეგ, როცა მან საამოვნებით გააქანა პირისკენ პორტვეინით სავსე ჭიქა, მე—ტრახ!—და გავაგდებე ხელიდან ჭიქა, —ტრახ! და დავკარი თეფშს მუშტი. ნამტვრევები გაიბნენ; პავლე პეტრეს ძე იატაკზე გაშხლართული, ღორივით ღრუნჩავდა, მანდილოსნები აზმულებდნენ, მე კი კბილებ დახტენილი მივათრევე სტოლიდან სტოლსაფარს მოწყობილობით—ეს სასაცილო სურათი იყო სწორეთ!

დიახ... მაგრამ აი შემომხევიენ გარს, შემკრეს: ვის წყალი მოაქვს, ვის სავარძლისკენ მივყევარ, მე კი ვლმუი, როგორც ვეფხვი ზოოლოგიურ მუზეუმში და თვალებს ვაბრიალებ. და ყველა იმათ ისეთი სულელური სახე ქონდათ, მე ისე შემძაგდენ ისინი, რომ ღმერთს ვფიცავარ, კინალამ დავუმსხვრიე იმათ ღინგები—ვისარგებლებდი ჩემი პრივილეგიური მდგომარეობით, მაგრამ რა თქმა უნდა, თავი შევიმაგრე.

შემდეგ—სურათი ნელ-ნელა დამშვიდებისა.

— სადა ვარ? რა მომივიდა?

ამ სულელურ „სადა ვარ“-საც დაურჩა გასაუალო და სა მოოდე ჩერჩეტმა იმ წამსვე რაპორტი მომართვა:

— ყორგანოვისას. (ტკბილი ხმით) თქვენ ხომ იცით, ძვირფასო დოქტორო, თუ ვინ არის ირინე პავლეს ასული ყორგანოვისა?

არა, აბა საიდან გაიგებდნენ ისეთი წვრილმანი კაცები კარგ თამაშს!

ერთი დღის შემდეგ—მე დავიცადე, სანამ საველოვისას ყველაფერს გაიგებდნენ—მე საუბარი მაქვს ტატიანასა და ალექსისთან. უკანასკნელმა ვერ გაიგო, რაც მოხდა, მხოლოდ მკითხა:

— ეს რა ჩაგიდენია კაცო ყორგანოვისას?

მითხრა ესა და გავიდა სამეცადინოთ. ამ ნაირათ, მე მართლაც რომ გავგიჟებულიყავი, ის თურმე მეტათ არაფრათ ჩაგდებდა. სამაგიეროთ ზედ მიწევნით მრავალსიტყვოვანი, მრავალფეროვანი და, რა თქმა უნდა, არაგულწრფელი იყო მისი მეუღლის თანაგრძობა. და აქ... ის კი არა, ვითომც მე მწყენოდეს დაწყებული საქმე,—მხოლოდ დაიბადა კითხვა: განა ღირს კი!

— თქვენ ძლიერ გიყვართ თქვენი ქმარი? დავეკითხე ტატიანას, რომელმაც მიმავალ ქმარს თვალი გააყოლა. იმან ჩქარა შემომხედა.

— დიახ. მერე რა?

— არაფერი!

ცოტოდენი სიჩუმის შემდეგ, რომელიც მსგუსტყობდა სულელი ფიქრებით, დაეუმატე:

— რატომ არას მიჯერით?

მან შემომხედა პირდაპირ თვალეში, მხოლოდ არ მიპასუხა კი. და ამ წუთას მე გამავიწყდა, რომ ოდესმე, დიდი ხნის წინეთ იმან გაიცინა—ამიტომ არც მიგრძენია მისადმი ბოროტება და ის, ჩემი განზრახვა, მომეჩვენა სისულელეთ და უვარგისათ. მაგრამ ეს ნერვების დაქანცვის ბრალი იყო და ვაგრძელდა სულ ერთი წამი.

— განა თქვენ დაგეჯერებათ? მიპასუხა ტატიანამ დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ.

— რასაკვირველია არა! ხუმრობის კილოთი ვუთხარი მე და ჩემს გულში კი კვლავ ავუზგუზდა ცეცხლი. ღონე და გაბედულება, შეურყვევლი გადაწყვეტილება ვიგრძენი მე და ამაყათ გადაწყვეტიტე გამეგრძო ბოლომდე. ბრძოლა—აი ერთ-ერთი სიხარული არსებობისა!

მეორე სიგიჟე მე ერთა თვის შემდეგ გავიმეორე. აქ ყველაფერი უწინდებულათ მოფიქრებული როდი ყოფილა, მაგრამ ეს ხომ სულ ერთია, თუ კი საერთო პლანი გაქვს. აზრათაც კი არ მქონია, თუ იმ ღამეს ჩავიდენდი ამას, მაგრამ რაკი გარემოება ხელს მიწყობდა, სისულელე იქნებოდა, რომ ამით არ მესარგებლნა. ნათლათ მახსოვს, რაც მოხთა. სასტუმროში ვისხედით და ვლაცობდით, როცა უცებ მე მოვიწყინე. ცოცხლათ წარმოვიდგინე, თუ რა უცხო ვარ ამ ხალხში, თუ როგორ მარტოთ მარტო ვარ ქვეყანაზე, თუ როგორ ვარ დამწყვედელი ამ თავში, ამ საპრობილეში და მაშინ ყველა ისინი შემეზიზნა. გახეცებულმა დავკარი მუშტი, დავიყვირე რაღაც ბინძური სიტყვა და გამეხარდა, როდესაც იმათ სახეზე შიში გამოიხატა:

— მხეცებო, —გყვიროდი, —გარყვნილებო, მხეცებო! ცრუნო, ფარისევლებო, გველებო, მე მძულხართ თქვენ!

მე ვებრძოდი ჯერ იმათ, მერე ლაქიებსა და შევეტლებს. მარა მე ვიცოდი, რომ განგებ, ხელოვნურათ ვებრძოდი იმათ, მე მიხაროდა, რომ იმათ ვცემდა, სიმათლეს ვეუბნებოდი. განა ვინც სიმათლეს ამბობს, გიჟია? გარწმუნებთ ბ-ნო ექსპერტებო, რომ ეიცოდი, თუ რა ტკივილს ვაყენებდი იმათ ჩემი ცემით. სახლში მოსულს კი მეცივებოდა და ვფიქრობდი—რა კარგი მსახიობი ვარ მეთქი. შემდეგ დაწოლილი გიუ-დე-მოპასანს ვკითხულობდი, როგორც ყოველთვის. მე ვსტკებოდი იმის კითხვით და ჩამეძინა, როგორც ბავშვს. განა გიჟები კითხულობენ და ტკბებიან წიგნებით? განა გიჟებს ეძინებათ ბავშვებით?

არა, გიჟებს არ სძინავთ, ისინი იტანჯებიან, იმათ თავში არეულობაა, დიახ არეულობა. იმათ უნდათ ღრიალი, კბენა, ფრჩხილებით თმის გლეჯა, იმათ უნდათ ოთხზე სიარული, ნელ-ნელა, გაწოლილი სვლა, შემდეგ კი უცებ წამოხტომა და დამახება:

— ა-ა-ა!

და გაცივება, ღრიალი, თავის მალლა აღება და დიდხანს, დიდხანს, გძლათ, გძლათ ღმუილი.

დიახ, დიახ.

მე კი შეძინა, როგორც ბავშვს. განა გიყვებს სძინავო, როგორც ბავშვებს?

ბ. ლომთათიძე

(შემდეგი იქნება).

№-ს

ვალათ და მცნებათ დაგიდევს
ორთა უფალთა მონება! —
ამას უარ-ჰყოფს თვით გრძნობა
და ეურჩება გონება!..

აქეთაცა ხარ, იქითაც,
გაგქსუვებია ძალ-ლონე;
იუდას მესაიდუმლოვე,
ხარ მის გულის-თქმის გამგონე!..

ღამურობ... უსწორ-მასწორობ,
შენი სახელი „ღრიკაა!“
ამგვარი ქცევა ცხოვრების
უებრო პოლიტიკაა...

„აჰყვე-დაჰყვეის“ მცნებისა
მოძღვარ-მოწაფევე ერთათა,
კუჭი მიგიჩანს ბატონათ,
ოქრო-იდელ-ღმერთათა!..

შენს მოქმედებას საზიზღარს
სხვა უდევს სარჩულ-საპირი,
ღვთისკენ რომ ზურგი გიქნია
და ეშმაკისკენ კი პირი!..

მეც რომ თავს მიქნევ მანდეთკენ,
ხმა-ტკბილათ მეზურჩულები, —
მესმის მაგ შენი გულის-თქმის
მაგგვარი კრიმანჭულები!..

ვერაგო, ვიცი კარგათა,
ეგ რაც ედემის ხილია!..
ჩვენ შორის ხიდი სავალი
სამუდმოთ ჩატეხილია!..

ვერ ვეტარები მე მაგ გზით,
ვინც დადის, ვწყევლი მასაცა,
გენიის მსხვერპლათ გავსწირავ
მაგ გზით მოარულ ძმასაცა!..

ვისაც მე ვეტარფი, ის შენთვის
თუმცა კი „მაჩანჩალოა“,
მაგრამ მისი ხმა ჩემს გულში
შენი დამხობი ძალაა!..

დ. თომაშვილი

მთავრობის გამოცხადება.

„პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: „9 მარტს, ქალაქ ზლატოუსტში, უფის გუბერნიაში, რკინისა და რელსების მკეთებელ ქარხანაში ერთის ამქრი მუშებმა, რიცხვით 160

კაცმა, აღარ მიიღეს ანგარიშის წიგნაკები და განაჩადეს, 10-დან მუშაობაზე ხელს ვიღებთ. 9 მარტს მუშებს თავი კარგათ ეჭირათ, მაგრამ 10 მარტს მოედანზე შექმნილი მუშების მღე კაცი, რომელთაც განაცხადეს, თანახმნი არიან მუშაობის ახალ პირობებზედაო. რადგანაც უწესოებანი იყო მოსალოდნელი, უფის გუბერნ ტორი ბოვდანოვიჩი, უფის სასამართლოს ბრალმდებელი და ჟანდარმათა საეგუბერნო გამგეობის უფროსი პოლკოვნიკი შატოვი უფიდან ზლატოუსტს წავიდნენ. 13 მარტს თავ-მოყრილი მუშები თხოულობდნენ სამ დაპატიმრებულ მუშის განთივისუფლებას. მუშები შემოერთებულნი საპოლიციო გამგეობას, როტმისტრის დოლოგოვის სადგომს და მთა-მადნის უფროსის სახლს, სადაც თანჯრები ჩამტვირის. ბევრი რჩევა-დარიგების შემდეგ, როდესაც ბრბომ ძალა იხმარა, ბრალმდებელი სატუსალოში არ შეეშვა და გუბერნატორთან ერთათ შევარდა მთა-მადნის უფროსის სახლში, გუბერნატორმა უბოძანა ბატალიონის უფროსს, იარაღი ეხმარა. ხალხი სახლში იწვედა და რევოლვერებს ისროდა, რომლის დროსაც მსუბუქათ დასქრეს ისპრავნიკის თანაშემწე და ჟანდარმათა უნტერ-ოფიცერი. როდესაც ჯარმა თოფები გაისროლა, ბრბო გაიფანტა. საცა ხალხი იყო იმ ადგილის მოკლული აღმოჩნდა 28 კაცი, დაჭრილი 50 კაცზე მეტი. 14 მარტს ყველა ამქრებმა მუშაობა განაახლეს“.

ქურნალ-გაზეთებიდან.

ღარბაისულმა „იკერამ“ სიბერას დროს ტყუალათ ვა არ გაიფართოვა თავისი კალთები: ის ცდილობს, რომ თავის კალთებ ქვეშ თავი შეაფარებინოს და დატარს უღესხგადსხვა ქურის აზრებს და შეხედულებებს. მას არ უყვარს ერთმანეთის თუნდა დამეტრადურათ მოწინააღმდეგე აზრების შეუწყნარებლობა; ის დიდი მატრფააღვა „აზრის თავისუფლების“. მას ჭირავთ უყარება ისეთ ვიწრო კალაზოტში მოქცევა, რომელიც მას ძაღას დატანს უთუთ მუდამ ერთხანია, განსაზღვრული შეხედულებით ისე მოძველებულს ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის შესახებ. ის თავის განიერ ფურცლებზე სუფუტრულათ ადგილს უთმობს თითქმის უფუფუკვარი შინაარსის წერილს, ამისთვის საკმარისია ეს თუ ის წერილი ღამაზათ იქნეს შედგენილი („იკერია“ ესტეტიკისაგ დიდი მატრფააღვა); ან და, კარგი ენათ იქნეს დაწერილი (რადგან „იკერამ“ კარგათ იცის, რომ „რა ენა წარსდეს, ერი დაეცეს“...), ან კიდევ ისეთ ავტორს ეკუთვნოდეს, რომელსაც ამ გაზეთის ხათრი და ზატევისცემა აქვს (რადგან ამას მოითხოვს „იკერიის“ ქართუფური თავაზიანობა). ამასთან „იკერია“ ხშირათ დღეს ისეთ წერილს დასცამბავს, რომლის მზგავსი წერილის დაბეჭდვისათვის მეორე გაზეთის გუშინ სამშობლს დადატს დაწამბდა. საუცხოო ნიმუშს „იკერიის“ ასეთი «ტაქტიკისას» წარმოგვიდგენს მისი ზოზიგია ზდანოვიჩის და მისი საბჭოს მოქმედების დაფასებაში. ერთხანათ «იკერია» სულ ბღღერს ადენდა ზდანოვიჩის „მოღვაწეობას“; შემდეგ, როცა ზდანოვიჩის ბ მისი საბჭოს მოქმედების საქვეუთ დაფასების ჯერი დადგა, „იკერია“ სხვებთან ერთათ გუნდრუკის კმევა დაწყო ამ სახელოვან გმირს და მამულის მოდალატეთ დასახე უკვლა ის, ვინც ზდანოვიჩის ადგილზე თავის ან სხვის კანდიდატურას წამოაყენებდა; მას უკან, თითქმის იმავე ხანებში „იკერამ“, ისეთი ფუფუტონი დასტამბა („კნაჟნა მარგახენის გათხოვება“), რომელთაც კარგა მკრათ წკეზლაჟდა იმავე რაინდს. ახლა კი, როცა უკვე მიწინააღმდეგე ზდანოვიჩის მოღვაწეობის დაფასების გამო ამტუდარი ალიაქოთი, ე. ი. ბრძოლას გათავების შემდეგ „იკერია“ ისევე ბრძოლას იწევს იმავე ზდანოვიჩის და მისი საბჭოს წინააღმდეგ და ბ. ვასილ წერეთლის ზართ საქვეუთო გმობს თავის საქრეულს და თავის 64 №-ში თვითონვე ასე იშოლტავს თავს:

„სინამდვილე ასეთ სწამებას (ჭათურის) დადა შევლავსტურა ცოდვას. როგორ? ყოველივე ამისა დაწვრილებით გაიგეთ, ფაქტები ხელთ გვაქვს და ჩვენი აზრი კი შესასებ ამ ფაქტებისა საზოგადოებას უნდა დავუძღვროთ, არ უნდა გავუწიროთ?“

და შემდეგ გახუთი ასეთ ნოტაციას უკითხავს თავის თავს:

„აჰ! ჩვენი ზნეობრივი მკვლევება: ავს ავი ვუწოდეთ, კარგს კარგია“ და სხ.

ამისთან წერილის ავტორი ბ. ვ. წერეთელი აღნიშნავს ეკლესიის საეურკადებო „მდადაბლებ“ ფაქტებს, რომლებიც დამავა „ცოდვას“ და რომლებიც სათუფოფენ შავი ქვის მწარმოებელთა „საბჭოს“ მოქმედების უკუდამართებას. ბოლოს კერძოთ ზღანოვინის შესახებ ავტორი „გამოტყენილათ აღიარებს“:

„ყოველათ შეუძლებელია ზირთუფნელმა კრიტიკოსმა მისი საქციელი მოიწინოს. მთხრობაშირეთა შეუარცხეფთა და დამცირება, წრეს გადასული ეფირილი და დარღვევა მართებლობისა, — აი, ეს იყო მისი ტაქტიკის ერთი იარაღთაგანი. ამას კარდა, არც ერთ საზოგადო საჭირო საქმის სასარგებლოთ არ დაუსარკვავს სიტყვას, არა თუ არ წარმოუდგენია მოხსენება; როცა ამ კვარ საქმეზე ლაზარაკი ჩამოვარდებოდა, იგი მოუძახადებელი რჩებოდა და მხოლოდ ამას გაიძარდა, გვირჩიეთ რამეო. ვინც წაიკითხავს გორესზონდენციებს უგულა ჩვენს გასეთებში(?), დამეთანხმება, რომ ეს ასე იყო“.

„იგერიან“-გან ესეც კარგია.

Лучше поздно, чѣмъ никогда.

* * *

ამ უგანასენელ წლების განმავლობაში რუსეთის მრეწველობა დიდი სისწრაფით ვითარდება, წარმოების ზირთბები რთულდება და მრავალფეროვანდება. გართულებული ზირთბები მოითხოვენ ასეთსავე განვითარებულ კანონმდებლობას. ამის გამო სატასტო ქაქაქების გასეთებში ბოლო ხახებში წამოაყენეს ფრად საეურკადებო კითხვა საფაბრიკო კანონმდებლობის შეკებისა და განვითარების შესახებ. აი როგორ ასახეთუებს მაგ. „Рус. Вѣд.“ (№ 71) თავის აზრს ამ საკანზე „მას შემდეგ, რაც ზირველი საფაბრიკო კანონი გამოვიდა. ოცმა წელმა განვლო, და ამ ხნის განმავლობაში მრეწველობის ზირთბებში მეტათ დიდი ცვლილება მოხდა. მუშათა რიცხვი ფაბრიკა-ზავადებსა და სამთო წარმოებაში გაიზარდა 1887—1897 წლ. 1. 318,000—2.098,000-მდე, ხოლო 1900 წ. მათი რიცხვი 2.350,000 აღემატებოდა. ამავე დროს მათგან შექმნილ საქონლის დირებულებამ აიწია 1,335 მილიონ მანათიდან 2,839 მილიონამდე (1897 წ.) ამავე დროს ზრატექტიონიზმმა (მოფარველობითი სისტემა) უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია. მრეწველობის ზრატექტიონიზმმა და სასოფლო მუშრნეობის უეურკადებოთ დატოვებამ გამოიწვია მრეწველობის ზოგადოთ დარგში კარ-ხისები, და მრეწველებმა თავის ინტერესების დასაცველათ ხელი მიუგეს სინდიკატების დაარსებას. სინდიკატების წყალობით მრეწველთა ჩვეულებრივი უზირატესობა მუშათა დაქირავების საქმეში კიდევ უფრო გაძლიერდა. ამავე დროს მუშათა შორის ძალიან ვრცელდება წერა-კითხვა, და ბევრი მათგანი სრულის შეგნებით ეპერობა თავის კულტურულ ცხოვრებას, დიდათ აფასებს ყოველ თავისუფალ საათს, რომელსაც თავის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას ხმარს. ამნაირათ მისი მოთხოვნები თანდათან ფართოვდება და ის თხოვლობს მეტ თავისუფალ დროს, ვინემ ეს დღეს აქვს. ამასთანავე განშირდა უთანხმოება მწარმოებელთა და მომუშავეთა შორის, რომელიც ამ ბოლო დროს თითქმის ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. წერილი წარმოება და მისათმრეწველობა ჯერ კიდევ არ გამქრალა და სამუშაოს აძლეუს ათასსა და ათათას მუშას და იტყვეს საფინანსო

უწიების ეურკადებას. თუკან მწარმოებელი აღარ უნდა იქნას საფაბრიკო კანონმდებლობას და საფაბრიკო შედამხველებს ისეთი უნდაობის თვალთ, როგორც წინეთ. მათ შორის თანდათან უნდა იდგამს ის აზრი, რომ აუცილებელია საჭიროა სასოფლო დასოფლო ლკევის შემოდებით უზრუნველყოფა მშრამქლი ხალხისა უბედურ შემთხვევათგან. თუკან მუშათა შორის აზრდება მოთხოვნები საურთიერთო დამხმარებელ კასებისა, წარმომადგენლთა ყოლისა ფაბრიკის მმართველთან მოსალაზარაკებლათ და სხვა ასეთი სურვილი გამოუჩნდა მრეწველობის მუშათა დემოტრატებმა ფინანსთა მინისტრს. ამნაირათ განვითარდა მრეწველობა, გაიზარდა მუშათა რიცხვი, ამატა მათმა კულტურულმა მოთხოვნებამ, ერთი სიტყვით გართულდა, შეიცვალა წარმოების ზირთბები, საფაბრიკო კანონმდებლობა კი ისევ განუითარებელი დარჩა, და ცხადა ახალ მოთხოვნებათა დასაკმაყოფილებლათ ის საკმარასი აღარ იქნება.

რუსეთის მთელი საფაბრიკო კანონმდებლობა შეიცავს ხუთ კანონს: 1) კანონი 1882 წ. 1-ლ ივნისის მცირეწლოვან მუშათა შესახებ, 2) 1885 წ. 3 ივნისის—ასაღკასდა და მუშა-ქალთა დამით მუშაობის აკრძალვის შესახებ, 3) 1886 წ. 3 ივნისის—ქარხნებსა და ფაბრიკებზე მრეწველთა და მუშათა შორის ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ, 4) 1890 წ. 24 აპრილის—მცირეწლოვანთა და ქალთა სამუშაო დროს შემცირების შესახებ და ბოლოს 5) 1897 წ. 2 ივნისის კანონი საფაბრიკო და სამთო მრეწველობის მუშათა სამუშაო დროს განწესრიგების შესახებ.

ეს კანონმდებლობა არ ეხება სახელმწიფოს და მისათმრეწველებს, რომლებშიც სშირია გადამეტებული ექსპლუატაციის შრომისა, 13—16 საათის სამუშაო დღე. ამას კარდაც გასეთის სატყუათ; ეს კანონმდებლობა არ არის სრული და ოდნავაც კერ იტავს მშრამქლთა ინტერესებს. ამიტომ საჭიროა მისი განვითარება და დამატება.

წერილები რედაქციის მიძაროთ.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმცირხილესათ უდრმესა მადლობა გამოუჩნდათ ჩემის მსრივ ს. სარეამიში დროებით მცხოვრებ ზოგადოთ ქართულებს, რომელნიც ჩემ მოწოდებას—არტიისტ ალექსი-მესხიშვილის დახმარებაზე, სიამოვნებით მიეგებენ და შეკლებისდაგვარათ იფული გადმომცეს.

სულ შეგვრიბე 15 მან., რომელსაც გიგზავნიოთ და გთხოთ გაკზავნოთ დანიშნულებასაშებრ.

დ. ქარცივაძე.

II.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ეს ეს ზატარა წერილი დაკვირვებოთ თქვენს დიდათ ზატყვემულ ჟურნალ „გვალში“. 9 მარტს დ. ყვარიაში გამართოთ ქართული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი ხარჯს კარდა გადადებულ იქნა ჩვენი ავითმოფი მისანიობის გ. ს. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოთ. შემოსავალი იყო სულ 38 მანათი, დაცხარჯა 15 მანათი, დანარჩენი 23 მანათი გადაგვრიოთ ქუთაისში ბ—ნ ივანე ასაკისძე ზურდაშვილს.

ოლიმპიადა ბაქრაძე და ვ. საყვარელიძე.

„კვალის“ ფოსტა.

დ. ხონი. აქაურს. ხელმოუწერილი წერილები არ დიბეკდება. რედაქციამ უნდა იცოდეს ავტორის ვინაობა.

დრ. რედ. ნ. იაკ. ალექსი-მესხიშვილი
გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

საბოლოო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახაზიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტი)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.
გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ
8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ
4 მან., ხელც სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შუკრათ.
ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ ხაზათ.

ხელის მომწოდებელს შეუძლიათ წლის იფულა ნაწილ-ნაწილათაც
შემოიტანონ.

ხელის მოწერა მაილება: თფილისში, წერა-კითხვის სასოცია-
ლურების განცუარიაში (სასახლას ქუჩა, თავად-ახნაურების ქარვასლა);
რკინის გზის სადგურზე შირველა კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარ-
ტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლადაქესთან, ვ. ბუკანიაშვილის წიგნის
მღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კაოსკში; ბათუმში
სპირიდონ ჭვლიძის წიგნის მღაზიაში; აზურკეთში და ახალ-სე-
ნაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მღაზიაში; ჭიათურაში—კა-
ლისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერძესთან; ყვარიაში—
ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველში; ტყელ-
სენაკში—არსენ წითლიძესთან; აზურკეთში—დამენტი შავაშვილ-
თან; საბუნხაში—დმიტრი მუღაძესთან.

ფოსტის ადრესი: თფილის, რედაქცია „კვალი“.

ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА

« НА »

ежедневную газету политики, литературы и общественной
жизни

КУРЬЕРЪ

НА 1903 ГОДЪ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на годъ 6 р. на 3 мѣс. 2 р. на 2 мѣсяц. 1 р. 40 к. на
1 мѣсяц. 75 коп.

Для учащихъ въ высшихъ учебн. заведеніяхъ на 1 м. 60 к.

Переходъ изъ годовыхъ подписчиковъ по разсрочкѣ въ по-
лугодовые или на другіе сроки не допускается.

Прежніе подписчики, при возобновленіи подписки, благо-
волятъ прилагать бандероль, подъ которой они уже получали
газету.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ (X ГОДЪ ИЗДАНІЯ)
На ежемѣсячный научно-философскій и литературный журналъ

НАУЧНОЕ ОБОЗРѢНІЕ

Подъ ред. М. Филиппова, при ближайшемъ участіи проф. С. Гла-
зенапа, проф. Л. Петражицкаго и проф. В. М. Шимкевича.

„Научное Обозрѣніе“ имѣетъ цѣлью знакомить читателей
въ общедоступной формѣ съ движеніемъ научной и философской
мысли.

Продолжая слѣдовать своему популярному, но въ тоже
время строго-научному направленію, редакція „Научнаго обозрѣ-
нія“, при вступленіи въ десятый годъ изданія, рѣшила произ-
вести существенныя улучшенія, путемъ привлеченія новыхъ науч-
ныхъ и литературныхъ силъ. Съ января 1903 года вводится:

НОВЫЙ ОТДѢЛЪ БЕЛЛЕТРИСТИКИ

(романы, повѣсти, драмы, стихотворенія).

Въ отдѣлѣ журнальнаго обзора редакціей обращается вни-
маніе на статьи, помѣщаемыя въ научныхъ и литературныхъ
органахъ преимущественно иностранныхъ, причѣмъ имѣются въ
виду въ особенности читатели, не имѣющіе возможности слѣдить
за иностранною печатью.—Въ отдѣлѣ общественныхъ наукъ бу-
дутъ помѣщаться также статьи изъ области ученія о правѣ и
государствѣ. Редактированіе трехъ научныхъ отдѣловъ приняли
на себя: отдѣла „научныхъ новостей“ проф. С. П. Глазенапа,
отдѣла социальна-юридическаго проф. Л. Петражицкаго и отдѣла
биологическихъ наукъ—проф. В. М. Шимкевича.

Въ отдѣлѣ „Народный Университетъ“ (для Самообразованія)
принимаютъ участіе учредители русской парижской школы Об-
щественныхъ наукъ: проф. Ю. Гамбаровъ, проф. Максимъ Кова-
левскій, проф. М. Тамашевъ, Е. де-Роберти, члены одесскаго
лекціоннаго комитета и другіе ученые.

Подписная цѣна: на годъ безъ доставки въ Спб. 7 р. Съ
доставкой и пересылкою по всей Россіи 8 р. Разсрочка по два
рубля за четверть года. За границей 10 р. Адресъ Главной Кон-
торы: С.-П., Малая Итальянская, д. 37.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1903 годъ—(X г. изданія журнла).

„ХОЗЯИНЪ“

Подписная цѣна: на годъ 6 руб., на полгода 3 руб., на мѣс.
60 коп. съ пересылкой.

За границу: на годъ 8 руб., на полгода 4 руб. Отдѣльные
нумера 20 коп.

Разсрочка по одному рублю въ теченіе первыхъ шести мѣ-
сяцевъ.

Объявленія по 10 коп. за строчку петита въ одинъ столбець
(4 столбца на страницѣ).

Подписчики въ 1903 г. получаютъ безплатно слѣдующія 6 книгъ «БИБЛІО-
ТЕКИ ХОЗЯИНА»:

- 1) КРУПНЫЙ РОГАТЫЙ СКОТЪ въ условіяхъ русскихъ хо-
зяйствъ. Сборникъ статей покойнаго А. А. Армферльда. Съ пор-
третомъ автора.
- 2) ВОЗДѢЛЫВАНІЕ КАРТОФЕЛЯ по даннымъ науки и практи-
ки. Проф. С. М. Богданова.
- 3) КОНЕВОДСТВО. Практическое руководство къ разведенію
рабочихъ лошадей. Ф. Ольденбурга. Переводъ съ нѣмецкаго.
- 4) РЫБОВОДСТВО. Практическое руководство къ разведеію
рыбъ. А. Веедера. Переводъ съ нѣмецкаго.
- 5) СЪМЕНА ЛУГОВЫХЪ ТРАВЪ и КЛЕВЕРА. Руководство къ
опредѣленію и изслѣдованію сѣмянъ. Д-ра Л. Витмана. Переводъ
съ нѣмецкаго. В. Г. Дошпельмаира. Съ 12 литографирован. таб-
лицами и 25 рисунками.